



The Georgian National Academy of Sciences  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
Arn. Chikobava Institute of Linguistics  
The Institute of Caucasology at the Faculty of Humanities

## **VI International Symposium of Linguist-Caucasologists**

Grammatical Categories  
in Ibero-Caucasian Languages

**P r o c e e d i n g s**



Национальная Академия наук Грузии  
Тбилисский государственный университет  
имени Ив. Джавахишвили  
Институт языкознания имени Арн. Чикобава  
Институт кавказоведения факультета  
гуманитарных наук

## **VI Международный симпозиум лингвистов-кавказоведов**

Грамматические категории  
в иберийско-кавказских языках

**М а т е р и а л ы**

Tbilisi 2021 Тбилиси

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის  
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

## **ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო სიმპოზიუმი**

გრამატიკული კატეგორიები  
იბერიულ-კავკასიურ ენებში

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი  
2021

**სარედაქციო კოლეგია:** მ. აბალაკი, რ. აბაშია, ლ. აზმაიფარაშვილი (სწავლული მდივანი), ა. არაბული, ნ. არდოტელი, გ. გოგოლაშვილი, თ. ვაშაკიძე, რ. ლოლუა, ს. ომიადე, ნ. მაჭავარიანი, ე. საბანაძე, მ. სუხიშვილი, რ. ფარეულიძე, მ. ღლონტი, ვ. შენგელია (მთავარი რედაქტორი), ი. ჩანტლაძე, მ. ჩუხუა, რ. ჯაიანი, ნ. ჯორბენაძე.

**Editorial Board:** M. Abalaki, R. Abashia, A. Arabuli, N. Ardoteli, L. Azmaiparashvili (Scientific Secretary), I. Chantladze, M. Chukhua, M. Glonti, G. Gogolashvili, R. Jaiani, N. Jorbenadze, R. Lolua, N. Machavariani, S. Omiadze, R. Pareulidze, E. Sabanadze, V. Shengelia (Editor-in-chief), M. Sukhishvili, T. Vashakidze.

**Редакционная коллегия:** М. Абалаки, Р. Абашиа, Л. Азмайпарашвили (ученый секретарь), А. Арабули, Н. Ардотели, Т. Вашакидзе, М. Глonti, Г. Гоголашвили, Р. Джаиани, Н. Джорбенадзе, Р. Лолуа, Н. Мачавариани, С. Омиадзе, Р. Пареулидзе, Э. Сабанадзе, М. Сухишвили, И. Чантладзе, М. Чухуа, В. Шенгелиа (главный редактор).

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

**პ რ ო გ რ ა მ ა**

**Program • Програма**

9 – 11. XI. 2021

სიმპოზიუმი ჩატარდება დისტანციური რეჟიმით Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით:

<https://zoom.us/j/7057327817?pwd=NEtvalRDdjYxNzVxZWZkYTRtdFNjUT09>

პროგრამაში მითითებულია თბილისის დრო.

სიმპოზიუმის მასალები მზადდება გამოსაცემად.

## რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი

კამათში მონაწილეებს – 3 წუთი

მომხსენებელს დასკვნითი სიტყვისათვის – 3 წუთი

The symposium will be held on Zoom platform:

<https://zoom.us/j/7057327817?pwd=NEtvalRDdjYxNzVxZWZkYTRtdFNjUT09>

Time indicated in the program is the local time in Tbilisi.

The symposium proceedings will be published.

## T i m e L i m i t s

Presentation - 10 minutes

Discussion- 3 minutes (for each person)

Wrap up - 3 minutes

Симпозиум будет проходить в дистанционном режиме с использованием платформы Zoom:

<https://zoom.us/j/7057327817?pwd=NEtvalRDdjYxNzVxZWZkYTRtdFNjUT09>

В программе указывается тбилисское время.

Материалы симпозиума готовятся к печати.

## Р е г л а м е н т

Докладчику – 10 мин.

Выступающим в прениях – 3 мин.

Докладчику для заключительного слова – 3 мин.

## 9 ნომბერი

10<sup>00</sup>

### სიმპოზიუმის გახსნა

შესავალი სიტყვა – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
პრეზიდენტი, აკად. **გ. კვესიტაძე**

მისალმებები:

- გ. შარვაშიძე** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
- ნ. მაჭავარიანი** – თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
- ო. აბდულაევი** – ჰ. წადასას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
- კ. ვამლინგი** – მალმოს უნივერსიტეტის პროფესორი
- ბ. ბერსიროვი** – თ. კერაშევის სახელობის ადიღეს ჰუმანიტარულ კვლევათა რესპუბლიკური ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
- ა. ხალიდოვი** – ჩეჩნეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
- ს. პაზოვი** – ყარაჩაი-ჩერქეზეთის ხალხთა ენების კვლევითი ცენტრის დირექტორი
- ბ. ხარსიევი** – ჩ. ახრიევის სახელობის ინგუშეთის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების გამგე
- მ. ჩუხუა** – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი
- ვ. შენგელია** – თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელი

## მ ო ხ ს ე ნ ე ბ ე ბ ი

- მ. დლონტი** (თბილისი), მსაზღვრელ-საზღვრულის სემანტიკური ფუნქციონირებისათვის (ძვ.ქართ. გული გონიერი)
- კ. ვამლინგი** (მალმო), წინადადების ფარდი საკუთარი სახელები ქართულში
- ზ. მალაევა** (მაჰაჩყალა), მრავლობითი რიცხვის გამოხატვის საშუალებანი ხუნძურ ენაში
- ნ. არდოტელი** (თბილისი), კლასის გრამატიკული კატეგორიის რეკონსტრუქციისათვის ნახურ-დაღესტნურ ენებში
- ო. დიბიროვი** (მაჰაჩყალა), კლასის გრამატიკული კატეგორია ხუნძურ ენაში (ზაქათალის დიალექტის მასალის მიხედვით)
- ო. ჩაჩანიძე** (ქუთაისი), ჰუგო შუხარდტის რეცენზია სილოვან ხუნდაძის ნაშრომზე „სალიტერატურო ქართული“
- რ. ლოლუა** (თბილისი), კლასის გრამატიკული კატეგორიის ექსპონენტთა რეკონსტრუქციისათვის ლეზგიურ ენებში

შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა – 13<sup>00</sup> – 14<sup>00</sup>



მეორე სხდომა – 14<sup>00</sup> – 17<sup>00</sup>

თავმჯდომარეები: **ა. ხალიდოვი, მ. ჩუხუა**

- ს. პაზოვი** (კარაჩაევსკი), არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმები აბაზურ ენაში (თანამედროვე მდგომარეობა და ფორმანტა უნიფიკაციის პერსპექტივები)
- მ. ჩუხუა** (თბილისი), ლატერალური შესატყვისობის კიდევ ერთი სახეობისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში
- მ. იბრაგიმოვა** (მაჰაჩყალა), საბავშვო ლექსიკის ჩამოყალიბების საკითხისათვის რუთულურ ენაში
- რ. ფარეულიძე** (თბილისი), პირის კატეგორია ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში
- მ. მაგომედოვი** (მაჰაჩყალა), სახელური მეტყველების ნაწილები ხუნძურ ენაში
- ო. ზაგიროკოვა, ი. ლანდერი** (მოსკოვი), მრავლობითი რიცხვის არასტანდარტული გამოყენება ადიღეურ ენაში
- ზ. კიკვიძე** (თბილისი), ინტერფიქსი და მისი როლი გრამატიკალიზაციის პროცესში
- ა. როსტოვეც-პოპიელი** (მაინცი), ერთი ტიპოლოგიურად არაცხადი მოვლენის შესახებ მეგრულ მორფოსინტაქსში
- ნ. მეტრეველი** (პარიზი), ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი (სომატური) ლექსიკის ზოგიერთი ფუნქციის შესახებ
- თ. ბურჭულაძე** (თბილისი), ერთი ტიპის სამწევრა სახელური შესიტყვებისათვის
- ო. აბდულაევა** (მაჰაჩყალა), ნამყო სრული დროის ფორმები ახვაზურ ენაში

## 10 ნოემბერი

მესამე სხდომა – 10<sup>00</sup> – 13<sup>00</sup>

თავმჯდომარეები: **ნ. არდოტელი, ზ. მალაევა**

- ბ. ხარსიევი** (მაგასი), ნახური ენის კუთვნილების შესახებ
- გ. გვანცელაძე, თ. გვანცელაძე** (თბილისი-სოხუმი), ქართული და აფხაზური ენების მორფოლოგიური ტიპოლოგია
- მ. ლომია, რ. ქურდაძე, ქ. მარგიანი, ნ. ჭუმბურიძე** (თბილისი), არ და მისი ფარდი ნაწილაკები ზმნურ ფორმებთან ქართველურ ენებში: სემანტიკური დიფერენციაციის საკითხი
- ა. ალიგაჯიევა** (მაჰაჩყალა), გრამატიკული კლასის რეალიზაცია ბეჟიტური ენის აბსოლუტივებში
- რ. ხალიდოვა** (მაჰაჩყალა), კაუზატივის კატეგორია კარატაულ ენაში
- თ. ვაშაკიძე** (თბილისი), მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ტიპები თანამედროვე ქართულში (ატრიბუტული მსაზღვრელი)
- თ. ლომთაძე, ც. ჯანჯღავა** (თბილისი), ბრუნების ზოგი თავისებურებისათვის ქართულში (ებრაელთა მეტყველების მიხედვით)
- დ. ახვლედიანი, ნ. ახვლედიანი** (ბათუმი), ჩერქეზულ-ადიღური ნაკვალევი ბათუმის შემოგარენში
- თ. გუჩუა** (ქუთაისი), ლექსიკურ-გრამატიკულ ოპოზიციათა ნეიტრალიზაცია შესრულებით გამონათქვამებში
- მ. შიხაბუდინოვი** (ხასავიურთი), გრამატიკულ კლასთა ზოგი თავისებურების გამოხატვის ფორმები ხუნძური ენის ინგერდახის კილოკავში
- დ. კაკაშვილი** (თბილისი), ქართულ-ნახური ლექსიკური შეხვედრები

შესვენება – 13<sup>00</sup> – 14<sup>00</sup>

მ ე ო თ ხ ე ს ხ დ ო მ ა – 14<sup>00</sup> – 17<sup>00</sup>

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **თ. გვანცელაძე, ს. პაზოვი**

- მ. ზაგომედოვი** (მაჰაჩყალა), რიცხვის კატეგორია დარგული ენის ტოპონიმიკურ სისტემაში
- თ. მახაროზლიძე** (თბილისი), ზმნისწინი როგორც პოლიფუნქციური კატეგორია
- ქ. დათუკიშვილი** (თბილისი), ცალკე მდგომ კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურებანი თანამედროვე ქართულში
- ვ. შენგელია** (თბილისი), კიდევ ერთხელ ოდნაობითი ხარისხის შესახებ
- ს. შიხალიევა** (მაჰაჩყალა), ზმნის გრამატიკულ კატეგორიათა დისკურსიული მარკერები თაბასარანული ენის ონლაინლექსიკონის კონკორდანსში
- რ. გერსამია, თ. სხულუხია** (თბილისი), პოტენციალისისა და კაუზატივის გრამატიკულ კატეგორიათა მიმართება მეგრულში
- ქ. ადუხოვა** (მაჰაჩყალა), თავაზიანობის კატეგორია დალესტნელთა კომუნიკაციურ კულტურაში
- ც. ჯანჯღავა** (თბილისი), დაახლოებითი შინაარსის რიცხვითი სახელები მეგრულში
- მ. ლაბარტყავა** (თბილისი), I და II პირის ნაცვალსახელებთან ცალკე მდგომ თანდებულთა გამოყენებისათვის
- მ. თეთრაძე** (თბილისი), ე. წ. ქართული „გადიების ენის“ კვლევისათვის
- ხ. კადაჩიევა** (მაჰაჩყალა), გენტივის როლი კუთვნილების კატეგორიის რეალიზაციაში

## 11 ნომბერი

მეხუთე სხდომა – 10<sup>00</sup> – 14<sup>00</sup>

თავმჯდომარეები: **ბ. ბერსიროვი, ვ. შენგელაია**

- ნ. მაჭავარიანი** (თბილისი), მოჩვენებითობის კილოს -შა სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში
- ო. აბდულაევი** (მაჰაჩყალა), თვისების მუდმივობისა (განგრძობითობისა) და მდგომარეობის კატეგორია ლაკურ ენაში
- ო. ჩანტლაძე** (თბილისი), ზოგი ნასესხები ლექსემის ისტორიიდან ქართველურ ენებში
- ბ. ბერსიროვი** (მაიკოპი), არსებითი სახელის გრამატიკული კატეგორიები უბიხურ ენაში აფხაზურ-ადილურ ენებთან შედარებით
- ა. ხალიდოვი** (გროზნო), ასპექტუალურობა და ჯერობის „ასპექტი“ ჩეჩნურ ენაში

მუშაობის შეჯამება

სიმპოზიუმის დახურვა

**November 9**

**10<sup>00</sup>**

**Symposium Opening**

Opening Address – Acad. **G. Kvesitadze**, President of the Georgian National Academy of Sciences

Welcome Addresses:

- G. Sharvashidze** – Rector of Iv. Javakhishvili Tbilisi State University
- N. Machavariani** – Director of Arnold Chikobava Institute of Linguistics at TSU, Head of the Organizing Committee of the Symposium
- I. Abdullaev** – Leading Researcher at G. Tsadasa Institute of Language, Literature and Art
- K. Vamling** – Professor at Malmö University
- B. Bersirov** – Leading Researcher at T. Kerashev Adyghe Republican Institute for Humanitarian Studies
- A. Khalidov** – Professor at Chechen State University
- S. Pazov** – Director of the Research Centre of Languages of the Peoples of Karachay-Cherkessia
- B. Kharsiev** – Head of the Department of Ethnology at Ch. Akhriev Ingush Scientific-Research Institute of Humanities
- M. Chukhua** – Director of the Institute of Caucasology at the Faculty of Humanities at TSU
- V. Shengelia** – Head of the Department of Mountain Ibero-Caucasian Languages of Arn. Chikobava Institute of Linguistics at TSU

## P r e s e n t a t i o n s

- M. Ghloni** (Tbilisi), On the Semantic Functioning of the Head and a Modifier (Old Geo. guli gonieri)
- K. Vamling** (Malmö), On Sentence-like Proper Names in Georgian
- Z. Malaeva** (Makhachkala), Expressing the Plural Number in Avar
- N. Ardotei** (Tbilisi), On Reconstructing the Grammatical Category of Class in Nakh-Daghestanian Languages
- I. Dibirov** (Makhachkala), The Grammatical Category of Class in the Avar Language (Based on the Dialectal Material of Zaqatala)
- I. Chachanidze** (Kutaisi), Hugo Schuchardt's Review on the Work "Literary Georgian" by Silovan Khundadze
- R. Lolua** (Tbilisi), On Reconstructing the Exponents of the Grammatical Category of Class in the Lezgian Languages

B r e a k – 13<sup>00</sup> – 14<sup>00</sup>

Meeting II – 14<sup>00</sup> – 17<sup>00</sup>

Chairs: **A. Khalidov, M. Chukhua**

- S. Pazov** (Karachaevsk), The Plural Forms of Nouns in the Abaza Language  
(Modern Situation and Prospects for the Unification of  
Formants)
- M. Chukhua** (Tbilisi), On Another Type of Lateral Equivalent in the Ibero-  
Caucasian Languages
- M. Ibragimova** (Makhachkala), On the Development of Children's Vocabulary  
in the Rutul Language
- R. Pareulidze** (Tbilisi), The Category of Person in the Kist Dialect of the  
Chechen Language
- M. Magomedov** (Makhachkala), Nominal Parts of Speech in Avar
- I. Bagirokova, I. Lander** (Moscow), Non-standard Use of the Plural in  
Adyghe
- Z. Kikvidze** (Tbilisi), An Interfix and Its Role in the Grammaticalization  
Process
- A. Rostovtsev-Popiel** (Mainz), On a Typologically Unexplained Phenomenon  
in Megrelian Morphosyntax
- N. Metreveli** (Paris), On Some Functions of the Somatic Vocabulary
- T. Burchuladze** (Tbilisi), On One Type of Three-member Nominal Syntagms
- I. Abdulaeva** (Makhachkala), The Forms of the Past Perfect Tense in  
Akhvakh

## November 10

Meeting III – 10<sup>00</sup> – 13<sup>00</sup>

Chairs: **N. Ardoteli, Z. Malaeva**

- B. Kharsiev** (Magas), On the Belonging of the Nakh Language
- G. Gvantseladze, T. Gvantseladze** (Tbilisi-Sokhumi), Morphological typology of Georgian and Abkhazian
- M. Lomia, R. Kurdadze, K. Margiani, N. Chumburidze** (Tbilisi), ar and Its Equivalent Particles with Verb Forms in the Kartvelian Languages: The Issue of Semantic Differentiation
- A. Aligajieva** (Makhachkala), Realization of the Grammatical Class in the Absolutives of the Bezhta Language
- R. Khalidova** (Makhachkala), The Category of Causative in the Karat Language
- T. Vashakidze** (Tbilisi), Types of Declension of the Head and a Modifier in Modern Georgian (Attributive Modifier)
- T. Lomtadze, Ts. Janjgava** (Tbilisi), On Some Peculiarities of Declension in Georgian (Based on the Speech of Jews)
- D. Akhvlediani, N. Akhvlediani** (Batumi), The Circassian-Adyghe Trace in the Vicinity of Batumi
- T. Guchua** (Kutaisi), The Neutralization of Lexical-Grammatical Oppositions in Performing Expressions
- M. Shikhabudinov** (Khasavyurt), The Forms of Expression of Some Peculiarities of the Grammatical Classes in the Ingerdakh Dialect of Avar
- D. Kakashvili** (Tbilisi), Georgian-Nakh Lexical Cross-Borrowings

Break – 13<sup>00</sup> – 14<sup>00</sup>



Meeting IV – 14<sup>00</sup> – 17<sup>00</sup>

Chair: **T. Gvantseladze, S. Pazov**

**M. Bagomedov** (Makhachkala), The Category of Number in the Toponymic System of the Dargwa Language

**T. Makharoblidze** (Tbilisi), Preverb as a Multifunctional Category

**K. Datukishvili** (Tbilisi), The Peculiarities of Declension of Separate Interrogative-Possessive Pronouns in Modern Georgian

**V. Shengelia** (Tbilisi), On the Diminutive Once Again

**S. Shikhalieva** (Makhachkala), Discourse Markers of the Grammatical Categories of Verb in the Concordance of the Online Dictionary of the Tabasaran Language

**R. Gersamia, T. Skhulukhia** (Tbilisi), The Relation of the Grammatical Categories of Potential and Causative in Megrelian

**Zh. Adukhova** (Makhachkala), The Category of Courtesy in Daghestanian Communication Culture

**Ts. Janjgava** (Tbilisi), Numerals Expressing the Approximate Meaning in Megrelian

**M. Labartkava** (Tbilisi), On the Use of Separate Postpositions with I and II Personal Pronouns

**M. Tetradze** (Tbilisi), On Studying the So-called Georgian "Nanny Language"

**Kh. Kadachieva** (Makhachkala), The Role of the Genitive in the Realization of the Possessive Category

**November 11**

Meeting V – 10<sup>00</sup> – 14<sup>00</sup>

Chairs: **B. Bersirov, V. Shengelia**

**N. Machavariani** (Tbilisi), On the Origin of the Suffix -š<sup>o</sup>a of the Illusive Mood in Abkhazian

**I. Abdullayev** (Mahachkala), The Category of Persistence and Condition of a Feature in Lak

**I. Chantladze** (Tbilisi), From the History of Some Borrowed Lexemes in the Kartvelian languages

**B. Bersirov** (Maykop), The Grammatical Categories of Noun in the Ubykh Language Compared to the Abkhazian-Adyghe Languages

**A. Khalidov** (Grozny), Aspectability and the "Aspect" of Quantifying in the Chechen Language

Symposium Wrap Up

Symposium Closing

**9 ноября**

**10<sup>00</sup>**

## **Открытие Симпозиума**

Вступительное слово – Президент АН Грузии, акад. **Г. Квеситадзе**

Приветствия:

**Г. Шарвашидзе** – Ректор Тбилисского государственного университета  
им. Ив. Джавахишвили

**Н. Мачавариани** – Директор Института языкознания им. Арн. Чикобава  
ТГУ, председатель оркомитета симпозиума

**И. Х. Абдуллаев** – Главный научный сотрудник Института языка,  
литературы и искусства им. Г Цадасы

**К. Вамлинг** – Профессор Университета Мальмё

**Б. М. Берсиров** – Главный научный сотрудник Адыгейского республикан-  
ского института гуманитарных исследований им. Т. М. Керашева

**А. И. Халидов** – Профессор Чеченского государственного университета

**С. У. Пазов** – Директор Центра исследования языков народов Карачаево-  
Черкесской республики, профессор кафедры черкесской и  
абазинской филологии

**Б. М.-Г. Харсиев** – Заведующий отделом этнологии Ингушского НИИ  
гуманитарных исследований имени Ч. Э. Ахриева

**М. Чухуа** – Руководитель Института кавказоведения гуманитарного  
факультета ТГУ

**В. Шенгелиа** – Руководитель отдела горских Иберийско-кавказских  
языков, Института языкознания им. Арн. Чикобава ТГУ

## Д о к л а д ы

- М. Глonti** (Тбилиси), О семантическом функционировании определяющего и определяемого (древнегруз. *guli gonieri*)
- К. Вамлинг** (Мальмё), Собственные имена, равные предложению в грузинском языке
- З. М. Маллаева** (Махачкала), Способы выражения категории числа в аварском языке
- Н. Ардотели** (Тбилиси), К вопросу реконструкции грамматической категории класса в нахско-дагестанских языках
- И. А. Дибиров** (Махачкала), Грамматическая категория класса в аварском языке (на материале закатальского диалекта)
- И. Чачанидзе** (Кутаиси), Рецензия Г. Шухардта на работу С. Хундадзе «Литературный грузинский язык»
- Р. Лолуа** (Тбилиси), К вопросу реконструкции экспонентов грамматической категории класса в лезгинских языках

П е р е р ы в – 13<sup>00</sup> – 14<sup>00</sup>

Второе заседание – 14<sup>00</sup> – 17<sup>00</sup>

Председатели: **А. И. Халидов**, **М. Чухуа**

- С. У. Пазов** (Карачаевск), Категория числа имен существительных в абазинском языке (современное состояние и перспективы унификации формантов)
- М. Чухуа** (Тбилиси), К вопросу об одном виде латеральных соответствий в иберийско-кавказских языках
- М. О. Ибрагимова** (Махачкала), К вопросу о формировании детской лексики в рутульском языке
- Р. Пареулидзе** (Тбилиси), Категория лица в кистинском диалекте чеченского языка
- М. А. Магомедов** (Махачкала), Именные части речи в аварском языке
- И. Г. Багирова, Ю. А. Ландер** (Москва), Нестандартное использование множественного числа в адыгейском языке
- З. Киквидзе** (Тбилиси), Интерфикс и его роль в процессе грамматикализации
- А. Ростовцев-Попель** (Майнц), Об одном типологически неочевидном явлении в мегрельском морфосинтаксисе
- Н. Мегревели** (Париж), О некоторых функциях лексики частей тела человека (соматической лексики)
- Т. Бурчуладзе** (Тбилиси), Об одном типе трехчленного именного словосочетания
- И. А. Абдулаева** (Махачкала), Формы прошедшего законченного времени в ахвахском языке

**10 ноября**

Третье заседание – 10<sup>00</sup> – 13<sup>00</sup>

Председатели: **Н. Ардотели, З. М. Маллаева**

- Б. М.-Г. Харсиев** (Малгобек), К вопросу о принадлежности нахского языка
- Г. Гванцеладзе, Т. Гванцеладзе** (Тбилиси-Сухуми), Морфологическая типология грузинского и абхазского языков
- М. Ломиа, Р. Курдадзе, К. Маргиани, Н. Чумбуридзе** (Тбилиси), *ag* и подобные ей частицы при глагольных формах в картвельских языках: вопрос семантической дифференциации
- А. Р. Алигаджиева** (Махачкала), Реализация категории грамматического класса в леепричастиях бежтинского языка
- Р. Ш. Халидова** (Махачкала), Категория каузатива в каратинском языке
- Т. Вашакидзе** (Тбилиси), Типы склонения определяющего и определяемого в современном грузинском языке (атрибутивное определяющее)
- Т. Ломтадзе, Ц. Джанджгава** (Тбилиси), О некоторых особенностях склонения в грузинском языке (по данным речи евреев)
- Д. Ахвледиани, Н. Ахвледиани** (Батуми), Черкесско-адыгейский след в окрестностях Батуми
- Т. Гучуа** (Кутаиси), Нейтрализация лексико-грамматических оппозиций в выражениях со значением исполнительности
- М. М. Шихабудинов** (Кураев) (Хасавюрт), Формы выражения некоторых особенностей грамматических классов в ингердахском говоре аварского языка
- Д. Какашвили** (Тбилиси), Грузинско-нахские встречи

Перерыв – 13<sup>00</sup> – 14<sup>00</sup>

Четвёртое заседание – 14<sup>00</sup> – 17<sup>00</sup>

Председатели: **Т. Гванцеладзе, С. У. Пазов**

- М. Р. Багомедов** (Махачкала), Категория числа в топонимической системе даргинского язык
- Т. Махароблидзе** (Тбилиси), Преверб как полифункциональная категория
- К. Датукшвили** (Тбилиси), Некоторые особенности склонения отдельно стоящих вопросительно-притяжательных местоимений в современном грузинском языке
- В. Шенгелиа** (Тбилиси), Еще раз о сравнительной степени со значением уменьшительности
- С. Х. Шихалиева** (Махачкала), Дискурсивные маркеры грамматических категорий глагола в конкордансе табасаранского онлайн словаря
- Р. Герсамия, Т. Схулуриа** (Тбилиси), О взаимоотношении грамматических категорий потенциалиса и каузатива в мегрельском
- Ж. М. Адухова** (Махачкала), Категория вежливости в коммуникативной культуре дагестанцев
- Ц. Джанджгава** (Тбилиси), Имена числительные в мегрельском, обозначающие приблизительное количество
- М. Лабарткава** (Тбилиси), Об использовании отдельно стоящих послелогов с местоимениями I и II лица
- М. Тетрадзе** (Тбилиси), К вопросу исследования т. н. «языка няни»
- Х. М. Кадачиева** (Махачкала), Роль генетива в реализации категории притяжательности

**11 ноября**

Пятое заседание – 10<sup>00</sup> – 14<sup>00</sup>

Председатели: **Б. М. Берсиров, В. Шенгелиа**

**Н. Мачавариани** (Тбилиси), О происхождении суффикса «мнимого наклонения» -š°a в абхазском языке

**И. Х. Абдуллаев** (Махачкала), Категория постоянства (продолжительности) признака и состояния в лакском языке

**И. Чантладзе** (Тбилиси), Из истории некоторых заимствованных лексем в картвельских языках

**Б. М. Берсиров** (Майкоп), Грамматические категории имен существительных убухского языка в сравнении с абхазо-адыгейскими языками

**А. И. Халидов** (Грозный), Аспектуальность и кратный «вид» в чеченском языке

Подведение итогов работы Симпозиума

Заккрытие симпозиума



**მეცნიერებათა თეზისები**

**Abstracts of Papers**

**Тезисы докладов**



ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი (თბილისი)

## **კლასის გრამატიკული კატეგორიის რეკონსტრუქციისათვის ნახურ-დადესტნურ ენებში<sup>1</sup>**

კლასის უნივერსალური გრამატიკული კატეგორია, რომელიც ნახურ-დადესტნურ ენათა მორფოლოგიის ხერხემალს წარმოადგენს, მთლიანად გამსჭვალავს ფლექსიურ-დერივაციულ სტრუქტურებს და ძველისძველ კატეგორიას წარმოადგენს. ეს კატეგორია სინქრონიულ დონეზე ფლექსიური ტიპის ენათათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებსაც ამჟღავნებს, ვინაიდან კლასიფიკატორები, საკუთრივ სახელთა კლასიფიკაციის გარდა, რიცხვისა და ბრუნვის საწარმოებელ აფიქსებადაც გამოიყენება. ლეზგიურის, ალღულურისა და უდიურის გარდა, კლასიფიკატორები დასტურდება ყველა საკვლევ ენაში, მაგრამ ყველა კლას-კატეგორიან ენაში კლასთა ერთნაირი გრამატიკული სისტემები არ მოგვეპოვება – ჩეჩნური ენა ოთხკლასიან სისტემას გვიჩვენებს, თაბასარანულისთვის კი ნიშანდობლივია კლასთა ბინარული ოპოზიცია. რაც შეეხება კლასნიშნთან სუბსტანტივთა ისტორიულ ინტერპრეტაციას, სპეციალურ ლიტერატურაში მათ შესახებ ერთიანი აზრი არ არის ჩამოყალიბებული.

იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის ისტორიაში ძნელად დაიძებნება ისეთი საკითხი, რომელსაც ამდენი გამოკვლევა მისძღვნიდეს. ა. შიფნერისა და პ. უსლარის ნაშრომებიდან მოყოლებული და გ. თოფურისა საინტერესო ნაშრომით დამთავრებული, კლასის გრამატიკული კატეგორია მრავალ ლინგვისტ-კავკასიოლოგს უქცევია განხილვის საგნად, თუმცა მისი ზოგი მხარე მაინც მოითხოვს დაზუსტებას.

ჩვენი ვარაუდით, კლასთა ამოსავალ სისტემაში გარჩეული უნდა ყოფილიყო ბინარული ოპოზიცია, რომელშიც სახელთა სიმრავლე დიფერენცირებული იყო ღვთაებათა (ზოგადად, ადამიანის – I კლ. – ჭ) და ნივთთა (I კლ. – ბ) სემანტიკურ კლასებად. პროგრესული სამკლასოვანი სისტემა იმეორებდა ზემომოყვანილ სისტემას, იმ განსხვავებით, რომ I კლასს (ღვთაებანი, ასაკსრული მამაკაცები და მათთან გათანაბრებული არსებანი) სათანადო **ა**- ექსპონენტით ცალკე გამოეყო II კლასი (ასაკსრული ქალები და მათთან გათანაბრებული არსებანი). რაც შეეხება პროგრესულ ოთხკლასოვან სისტემას, ნივთთა III კლასს „მექანიკური განვითარე-

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: FR-18-3659).

ბით“ (ე. დიუმეზილი) გამოეყო IV კლასი **დ** ნიშნით, რომელსაც სპონტანური ფონეტიკური ბგერათცვლილებათა შედეგად სხვადასხვა რეფლექსები ჩამოუყალიბდა: **რ, ძ, ლ, მ, ნ**. ამასთანავე, IV კლასის ნიშნად **დ** რეკონსტრუირდება ოდენ ნახურ-დაღესტნური ქრონოლოგიური დონისთვის, ხოლო ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ერთიანობის ხანისათვის აღდგება **რ**.

დ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ნ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი (ბათუმი)

### **ჩერქეზულ-ადიღური ნაკვალევი ბათუმის შემოგარენში**

დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ჩერქეზულ-ადიღური სუბსტრატი შეინიშნება. საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ჩერქეზული ტოპონიმიკა უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვლოს... ეს კი აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევა (ს. ჯანაშია).

ყოველ რელიგიას თან სდევდა და სდევს თავისი მითოლოგია. ქრისტიანულმა რელიგიამ, ფოლკლორიზაციის შედეგად, საკუთარი მითოლოგია მოიტანა.

ჩვენ ხშირად გვიანტერესებს, თუ რატომ ჰქვია ამა თუ იმ გეოგრაფიულ ადგილს ესა თუ ის სახელი. ზოგიერთი მათგანის ახსნა არ წარმოადგენს დიდ სიმძნელეს. მაგალითად, ისეთები, როგორებიცაა, ციხისძირი და ქარისსაქროლი, ორპირი და მწვანე კონცხი, თუმცა არის ტოპონიმები, რომელთა წარმომავლობის გარკვევაც, ერთი შეხედვით, ჭირს და მათ შესახებ თითქმის არავითარი თქმულება-გადმოცემა არ არსებობს, ან თუ არის, ისე დამახინჯებული და სახეშეცვლილია, რომ მათი საშუალებით ახსნა თითქმის შეუძლებელია. საკმაოდ ძნელად ასახსნელ ტოპონიმთა რიგს განეკუთვნება სოფელ „ერგე“-ს სახელწოდებაც. ვახუშტი ბატონიშვილი ერთგან აღწერს: „არამედ ვინადგან აღვსწერენით ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს... ვიწყებთ აჭარისწყლის შესართავიდან“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1949 : 134).

„ ... და ამ ართვინის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე“ (იქვე გვ. 136).

„ ... ამას ზეით ჭოროხის კიდესა ზედა არს ერგე...“ (იქვე გვ. 176). ღვთაებათა სახელების დარქმევა არ არის უცხო ადგილის გეოგრაფიულ სახელწოდებებში. მაგალითად: ელია-ელიას ციხე (მთა), კვირია-კვირიკე, სამება, მთავარანგელო-თარანგელო-თარანგელოზი და სხვა.

საკითხავია, რა პირობები არსებობდა ერგესა და მის მიდამოებში ამ ღვთაების (ღვთაებათა) დამკვიდრებისა?

როგორც ცნობილია, ერგე მეჯოგე ტომთა, მწყემსთა მფარველი ღვთაებაა. ვინც ერგეს და მის მიდამოებს იცნობს, დაგვერწმუნება, რომ აქ საუკეთესო პირობები იქნებოდა (ბოლო დრომდე იყო) საქონლის გამოზამთრებისა. საკუთრივ ერგე და მასთან მიმდგომი ორივე ხეობა: ხე (ვ) ყრუ (წყალგველაი) და ჯოჭო (ჯოჭოს წყალი), თავიანთი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით, თავისუფლად გამოაზამთრებდა კარჩხალისა და აჭარის ზოგიერთ სხვა ალპურ სამოვრებზე მყოფ საქონელს.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მწყემსს ამინდის მართვა და თავის სურვილზე მისი ღვთაების განწყობა ყველაზე მეტად ზამთარში დასჭირდებოდა. კიდევაც მიუჩინა მწყემსმა აქ, ამ მიდამოებში, ამ ღვთაებას გარკვეული ადგილი. აქ სწირავდა იგი თავის საყვარელ ღვთაებას შესაწირავს და ლოცვას აღავლენდა მის სახელზე. თანდათანობით, მივიწყებას ეძლევა არაავტოქტონური ღვთაება, მისი სახელი მხოლოდ სოფელს შემორჩა (ერგე) და დაახლოებით იმავე ფუნქციის მატარებელ ღვთაებას (ელია) ახალი ადგილი მიუჩინა, როგორც ხალხის წარმოსახვაში, ისე ტერიტორიულად. ერთი თითქმის მივიწყებას მიეცა და მთლიანად დაკარგა თავისი ფუნქცია, მეორე კი იძენს ანალოგიურ ფუნქციას და დიდხანს ცოცხლობს ყოფაში. იგი ცოცხლობს არა მარტო ტოპონიმიკაში (ელიას ციხე, ელიაწმინდა...), არამედ ზეპირსიტყვიერებაშიც („ელესა“, „ლაზარობა“).

თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე (თბილისი)

## **ერთი ტიპის სამწევრა სახელური შესიტყვებისათვის**

სინტაქსური თვალსაზრისით საინტერესო სურათს ქმნის სამწევრა სახელური შესიტყვებები, რომლებშიც კონსტრუქციის ბირთვის, ე. ი. მთავარი წევრის (საზღვრულის) მსაზღვრელად უბრალოდამატებიანი მიმღეობა გვაქვს: **წყლით სავსე ჭიქა, შეშით დატვირთული ურემი, გასაღებით დაკეტილი კარი, ზურთით მოთამაშე ბავშვი, ტალახით მოსვრილი კიბე,**

**თოვლით დაფარული მიწა, მსხლით გადაპენტილი ეზო.** ასეთივეა ვითარებითი ბრუნვით წარმოდგენილი შემდეგი შესიტყვეებები: **მოყვრულად მოსული მტერი, გმირულად დაცემული ჯარისკაცი, ზღაპრად გაგონილი ამბები, ცხადად ნანახი სიზმარი, ნაზად გადაშლილი ყვავილი...**

სახელზმნებს სახელის ნიშნებიც აქვს და ზმნისაც. ისინი მათთან შეკავშირებულ სიტყვებთან ავლენენ როგორც სახელურ, ისე ზმნურ სინტაქსურ ძალას – ერთი მხრივ, შეთანხმება და სახელური მართვაა, მეორე მხრივ, ზმნური მართვა და მირთვა.

დასახელებულ შემთხვევებში სამწევრა შესიტყვეებები იმიტომ გვაქვს, რომ საზღვრულს მთლიანად, ერთიანობაში განსაზღვრავს ორი მსაზღვრელი (შეშით დატვირთული, მსხლით გადაპენტილი, ცხადად ნანახი, მოყვრულად მოსული). ამიტომ ცალ-ცალკე შესიტყვებად არ შეიძლება გამოიყოს ამგვარად: შეშით დატვირთული – დატვირთული ურემი, ტალახით მოსვრილი – მოსვრილი კიბე, ზღაპრად გაგონილი – გაგონილი ამბები, გმირულად დაცემული – დაცემული ჯარისკაცი...

მოყვანილი ფორმების ერთ წყებაში პირველი კომპონენტი გაქვავებულია და მუდამ მოქმედებით ბრუნვაშია: **შეშით დატვირთული**, ბურთით მოთამაშე, გასაღებით დაკეტილი, ტალახით მოსვრილი, ხოლო მეორე შემთხვევაში ვითარებით ბრუნვაშია წარმოდგენილი: **გმირულად დაცემული, ცხადად ნანახი, მოყვრულად მოსული, ნაზად გადაშლილი...** იბრუნვის შესიტყვეების მეორე და მესამე ნაწილი: შეშით **დატვირთულმა ურემმა**, შეშით **დატვირთულ ურემს**; მოყვრულად **მოსულმა მტერმა**, მოყვრულად **მოსულ მტერს...** ამგვარ სამწევრა კონსტრუქციებში, სადაც პირველი სიტყვა მუდამ მოქმედებით ბრუნვაშია, ცალმხრივი მართვაა (შეშით დატვირთული, ტალახით მოსვრილი) როგორც ეს **აგურის სახლი** ტიპის შესიტყვეებაში გვაქვს, ხოლო მმართავი სიტყვა (ურემი, მტერი..) მოითხოვს, რომ ის სულ მოქმედებით ბრუნვაში იყოს. თუმცა მოყვანილი ფორმები სამწევრაა და მთლიანობაშია განსახილველი, დაუშლელად. შესაბამისად, გასათვალისწინებელია ბრუნვაში შეთანხმების საკითხიც: შეშით **დატვირთულმა ურემმა** გზა განაგრძო, მსხლით **გადაპენტილ ეზოს** ვხედავ. გამოიკვეთა, რომ მთლიან შესიტყვეებაში ერთდროულად მართვაც გვაქვს და შეთანხმებაც ბრუნვაში.

ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი კი გარემოებაა და ამიტომ ამგვარ ფორმებში მასა და მხლებელ სიტყვას შორის სინტაქსური კავშირი მირთვაა: ნაზად გაშლილი, ზღაპრად გაგონილი, ცხადად ნანახი... მეორე მხრივ, მთლიან შესიტყვეებაში აქაც ბრუნვაში შეთანხმება გვაქვს: ნაზად გადაშლილი ყვავილის სურნელი შევიგრძენი, ზღაპრად გაგონილი ამბებით სულდგმულობდა... ანუ ერთდროულად მირთვაც გვაქვს და შეთანხმებაც ბრუნვაში.

რ. გერსამია, თ. სხულუხია (თბილისი)

## **პოტენციალისისა და კაუზატივის გრამატიკულ კატეგორიათა მიმართება მეგრულში**

პოტენციალისის (არნ. ჩიქობავა), ანუ პოსიბილიტივის (ა. შანიძე), შინაარსობრივი გაგება დაკავშირებულია შესაძლებლობა / შეუძლებლობის, დაშვება / დაუშვებლობის სემანტიკასთან, რომლისთვისაც ასევე ნიშანდობლივია ზოგადობა და ზედროულობა (ბ. გიგინეიშვილი). პოტენციალისის ტიპოლოგიურად ენებში მოდალურად გამოხატული კატეგორიაა, ქართველურ ენებს შორისაც მხოლოდ მეგრულშია ფორმალიზებული, ანუ წარმოადგენს მარკირებულ ზმნურ გრამატიკულ კატეგორიას (არნ. ჩიქობავა), ლაზურში კი ვნებითის ზმნურ მოდელეებში თავსდება; ქართულისათვის „ვნებითის ნიუნსადაც“ (ა. შანიძე) განიხილება, თუმცა ეწარმოება განსაზღვრული სემანტიკის საშუალო გვარის ფორმასაც; პოტენციალისის გარდაუვალი ზმნის კატეგორიაა, ამიტომ ის მხოლოდ ერთი ან ორპირიანი ზმნების მახასიათებელია. კაუზატივიც ასევე მარკირებული ზმნური კატეგორიაა, რომელიც გარდაუვალ ზმნას გარდამავლად აქცევს არგუმენტთა სტრუქტურაში ერთი დამატებითი აქტანტის, ეგზეკუტორი/მაიძულეებელი პირის შემოყვანით.

მეგრულსა და ლაზურში პოტენციალისისა და კაუზაციის შეთავსება ცნობილი და სპეციალურ ლიტერატურაში მაგალითებით არაერთგზის დადასტურებული ენობრივი ფაქტია; ერთი მხრივ, არსებობს წესთა სისტემა ორივე ზმნური კატეგორიისათვის, მეორე მხრივ, ლინგვისტური ალოგიკურობა, რომელიც ამ წესებს გარეთ რჩება; როგორც ჩანს, „შეთავსებელთა შეთავსება“ (ა. როსტოვეცე-პოპიელი) მეგრულში გრამატიკული იერარქიის სხვადასხვა დონეზე იჩენს თავს.

ზმნის რანგობრივ სტრუქტურაში პოტენციალისისა [ი--ე, ა--ე] და კაუზატივის [-ინ, -ო--აფ] მაწარმოებელი კონფიქსების პრეფიქსული ელემენტები ერთსა და იმავე სლოტში შედიან, მათ ზმნური ფუძიდან მარცხნივ პირველი პოზიცია უჭურავთ, სადაც თავს იყრის ხმოვანი პრეფიქსები, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ურთიერთგამომრიცხველი მორფემებია; ფორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ პოტენციალისის კაუზატიური ფორმის ზედაპირულ სტრუქტურაში ყოველთვის ვლინდება პოტენციალისის მარკერი; სუფიქსებიდან ზმნურ ძირთან მიმდევრულად რელიზდება თემის ნიშანი, კაუზატივის და პოტენციალისის მაწარმოებელი სუფიქსური ელემენტები: – POT/CAUS-R-THM-CAUS-POT. აღნიშნული თანაბრად ეხება როგორც პირველად კაუზატივებს (*ინგარე – ინგარინე; ანგარე – ანგარა-*

ფე), ისე შუალობითი კონტაქტის ფორმებს (ინგარინაფე, ანგარინაფე, იჭარაფე, აჭარაფე). ემპირიული მასალის ანალიზით დგინდება პოტენციალის სემანტიკის მქონე ფორმოზრევი მოდელები: ა) ერთპირიანი ან პირნაკული ფორმებისთვის – ი-R-ე: ი-R-THM-CAUS-ე; ი-R-THM-ე; ი-R-CAUS-ე; ბ) ორპირიანი ან ერთპირიანი ფორმებისთვის – ა-R-ე: ა-R-THM-CAUS-ე, ა-R-THM-ე, ა-R-CAUS-ე.

ზემოაღნიშნული საკითხების გარდა, ჩვენი მოხსენების მიზანია ვაჩვენოთ:

1. პოტენციალისის გაფართოებული ფუნქციონირება მეგრულში;
2. პოტენციალისის კაუზატიურ ფორმათა სრული მოდელირება და ამ ორი გრამატიკული კატეგორიის გამომხატველი მარკერების თავსებადობა;
3. პოტენციალისის კაუზატიური მოდელების წარმოება ზმნური სემანტიკური ჯგუფების მიხედვით; სემანტიკურად განსხვავებული ნიშნების დადგენა-ანალიზი;
4. პოტენციალისის გამომხატველ კაუზატიურ და არაკაუზატიურ ფორმათა არგუმენტთა სტრუქტურის თავისებურებები;
5. პოტენციალისის და კაუზატივის მნიშვნელობათა გადამკვეთი მახასიათებლები – კოგნიტიური საფუძვლები, რომლებმაც განაპირობა გარდაუვალ ზმნაში გარდამავალი ზმნისათვის დამახასიათებელი გრამატიკული კატეგორიის შემოტანა.

გ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე, თ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე (თბილისი-სოხუმი)

## **ქართული და აფხაზური ენების მორფოლოგიური ტიპოლოგია**

მორფოლოგიური ტიპოლოგიის თვალსაზრისით ქართული და აფხაზური ენები განეკუთვნებიან ერთსა და იმავე ტიპს – **აგლუტინაციური ენების** ჯგუფს. ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე ენაში სიტყვათა უმრავლესობას აგებულებისა და ფორმათა ცვალების მსგავსი მახასიათებლები აქვს.

**ქართულ ენაში** ათი მეტყველების ნაწილიდან დიდი ნაწილის, კერძოდ, სრულმნიშვნელობიანი სიტყვების აგებულება, ანუ სტრუქტურა გამჭვირვალეა:

1. **მარტივებიანი სიტყვის** მთავარი მნიშვნელობა (სემანტიკა) დაკავშირებულია ძირთან, რომელსაც უშუალოდ ერთვის ფორმათა მცვლეელი, ანუ გრამატიკული აფიქსები (თავსართები და ბოლოსართები): ბრუნვის



ნიშნები, რიცხვის ნიშნები, პირის ნიშნები, თემის ნიშნები და სხვანი, რომელთა გამოყოფა თითქმის მუდამ ძალიან ადვილია. მაგალითად, ამ სახის მარტივფუძიანი სიტყვებია: **ქალ-ი, კაც-ი, მთა, ტყე, რკო, ღრუ, ბრმა, დიდ-ი, ორ-ი, ხუთ-ი, ოც-ი, ას-ი, ცრ-ი-ს, ა-კეთ-ებ-ს, ი-წვ-ი-ს...**;

2. **რთულფუძიანი ახალი სიტყვები** იწარმოება მარტივ ფუძეზე წარმომქმნელი, ანუ სიტყვათმწარმოებელი აფიქსების (თავსართებისა და ბოლოსართების) დართვის გზით. ასე მიიღება ახალი სიტყვის რთული ფუძე, რომელსაც ფორმის ცვლისათვის დაერთვის სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის ნიშნები: **და-ქალ-ებ-ულ-ი, უ-კაც-ურ-ი, მთ-იან-ი, უ-ტყე-ო, რკო-იან-ი, გა-მო-ღრუ-ტ-ნ-ულ-ი, და-ბრმა-ვ-ებ-ულ-ი, გან-დიდ-ებ-ულ-ი, ორ-ოსან-ი, ოც-და-მე-ათ-ე, ას-იანი, სა-ცერ-ი, გა-და-კეთ-ებ-ულ-ი, გა-და-მ-წვ-არ-ი...**;

3. ახალი რთულფუძიანი სიტყვების საწარმოებლად გამოიყენება აგრეთვე **ძირთა ან მარტივ ფუძეთა გაორკეცება (რედუპლიკაცია) და ძირ-ფუძეთა შერწყმა**. მაგალითად, ძირის უცვლელად, თუ მცირედი ცვლილებით გაორკეცება გამოყენებული შემდეგ სიტყვათა მისაღებად: **ლაქ-ლაქ-ი, ცახ-ცახ-ი, კან-კალ-ი, რახა-რუხ-ი...**; ძირ-ფუძეთა შერწყმის მაგალითებია: **თავ-პირ-ი, ხელ-ფეხ-ი, თოვ-ლ-წვიმ-ა, მესხ-ეთ-ჯავახ-ეთ-ი, კახ-ეთ-ჰერ-ეთ-ი, ტაო-კლარჯ-ეთ-ი...**;

4. ცალკე დგანან ზმნიზედები, ანუ ზმნისართები, რომელთა ნაწილი მიღებულია **აგლუტინაციის წესით, ანუ ძირზე ახალ სიტყვათა მწარმოებელი აფიქსების დამატებით**, ზმნიზედების მეორე ნაწილი კი უაფიქსო ძირებს წარმოადგენენ, რითაც ჰგვანან **იზოლირებული, ანუ ძირისეული (იგივე ამორფული) ტიპის** ენათა უაფიქსო სიტყვებს. მაგალითად, აგლუტინაციის წესითაა ნაწარმოები შემდეგი სიტყვები: **დღე-ს, სა-დამ-ო-ს, წელ-ს // წლ-ეულ-ს, გა-ის-ად, ნელ-ა, სწრაფ-ად...**; უაფიქსო ძირებია სიტყვები: **წინ, ადრე, სულ...**

აფიქსებიან სიტყვებში მარტივი ძირებისა და აფიქსების გამოყოფა ძნელი არ არის.

ამრიგად, ქართულ ენას აქვს უპირატესად აგლუტიციის მახასიათებლები.

თითქმის იგივე თვისებები ახასიათებს **აფხაზურ ენასაც. სხვაობას მხოლოდ** ის ქმნის, რომ არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებსა და ნაცვალსახელებს არ დაერთვის ბრუნვის ნიშნები იმ მიზეზის გამო, რომ **აფხაზურ ენას ბრუნვის გრამატიკული კატეგორია არ მოეპოვება**, სამაგიეროდ, აქვს **გრამატიკული კლასის, ზოგადობისა და განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გრამატიკული კატეგორიები**, რომლებიც რიცხვის ნიშნებთან ერთად ფორმას უცვლიან ამ ჯგუფის სიტყვებს. ამრიგად, აფხაზური სახელებიც აგლუტინაციური ტიპისაა. ამ ტიპის თვისებები აფხაზურ ენას კარგად აქვს გამოხატული.

არსებითია იმის აღნიშვნა, რომ თუ ქართულ ენას მოეპოვება სახელთა გრამატიკული და სიტყვაწარმოებითი კატეგორიების მაწარმოებელ აფიქსთა დიდი მარაგი, აფხაზური ამ მხრივ ბევრად ღარიბია და შესაბამისი სემანტიკის გადმოსაცემად იყენებს სახელთა და ზმნათა ძირ-ფუძეებს, რომლებიც თავიანთი თავდაპირველი ფუნქციით ჯერაც აქტიურად გამოიყენება ენაში.

მსოფლიოს ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის დროს შენიშნულია, რომ მრავალ ენას ახასიათებს უპირატესად ერთი რომელიმე მორფოლოგიური ტიპის თვისებები, მაგრამ იმავე ენებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ერთი ან მეტი სხვა მორფოლოგიური ტიპის თვისებებიც. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც. კერძოდ:

1. **ქართულ ენაში წამყვანი, უპირატესია აგლუტინაცია**, მაგრამ ფორმაცვლელი მეტყველების ნაწილები – ზმნიზედების დიდი ნაწილი, თანდებულები, კავშირები, ნაწილაკები და შორისდებულები – **განეკუთვნება იზოლირებულ, ანუ ძირისეულ (იგივე ამორფულ) ტიპს**, რაკი მათი უმრავლესობის ფუძეებში აფიქსები არ გვხვდება, ანუ ისინი არ ერთვის სიტყვის ძირს და ამ ჯგუფის სიტყვები ფორმას არასოდეს იცვლიან.

2. ქართულ ენაში ზმნათა ერთი დიდი ჯგუფი **ხმოვანმონაცვლეა**: მათ ძირებში აწმყოს წრის მწკრივებში **ე** ხმოვანი დასტურდება, მაგრამ მეორე სერიის მწკრივებში ამ ხმოვნის ადგილს **ი** ხმოვანი იკავებს. ამ შემთხვევებში დროის, მწკრივისა და ასპექტის გარჩევა სწორედ ამ მორფოლოგიურ პროცესს უკავშირდება. მაგალითად, **ვ-კრეფ** – **ვ-კრიფ**-ე, **ვ-წყავტ** – **ვ-წყავტ**-ე, **ვ-გლეჯ** – **ვ-გლეჯ**-ე... ფუძის შიგნით ბგერათა ცვლილებების გამოყენება გრამატიკული კატეგორიის საწარმოებლად (მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს დროისა და ასპექტის გრამატიკულ კატეგორიებთან) დამახასიათებელია **ფლექსიური** ენებისათვის, ანუ ქართულ ენაში **არსებობს ფლექსიურობის ელემენტებიც**. რაც შეეხება აფხაზურ ენას, მასში ფლექსიურობის ელემენტები გამოვლენილი არ არის.

3. უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში მე-13 საუკუნის დასაწყისამდე დასტურდება მეტად თავისებური ზმნური ფორმები, რომლებშიც ზმნისწინსა და ძირს შორის ჩართულია მთელი სიტყვები, უმეტესად თითო, ზოგჯერ კი ორ-ორი: ნაცვალსახელი, კავშირები და ნაწილაკები. ასეთ ფორმებს **ტმესი** ეწოდება. მაგალითად, დასტურდება ფორმები: **მოვინმე**-ვიდა „ვიღაც მოვიდა“, **შე-რაჰ**-ვიდა „როცა შევიდა, რომ შევიდა“, **გაცა-წყრა** „გაწყრა კიდეც“, **მო-თუ-ვინმე**-კუდეს „ვინმე თუ მოკვდება“, **მო-ნუ**-ისთვლიან „ნუ მოიწევენ მოსავალს“, **შე-თუმცა**-საძლებელ იყო „თუ შესაძლებელი იყო“ და მრავალი სხვა. ამგვარი ფორმები „ვეფხისტყაოსანშიც“ არის გაბნეული აქა-იქ. მაგალითად, როსტევანის მიერ უცხო მოყმის ნახვის ეპიზოდში წერია:

„მეფე გაკვირდა, **გა-ცა-წყრა**, გული უც მისთვის მწყრომარე;  
გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე,  
უბრძანა: „ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე,  
მიდით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მჯდომარე!“

„ვეფხისტყაოსნის“ შემდგომ ტმესი პრაქტიკულად აღარ გვხვდება. იგი ძირითადი მახასიათებელია **ინკორპორაციული ტიპის** ენებისათვის, ქართულში კი ტმესი მხოლოდ არამძირითადი მორფოლოგიური მახასიათებელი იყო.

რაც შეეხება **აფხაზურ ენას**, მასში **ინკორპორაცია**, ანუ ტმესის ტიპის წარმოება მოეპოვება ნებისმიერ ზმნას და ამ დროს ზმნის ფუძეში ჩაერთვის შემდეგი ერთეულები: დროის, ადგილისა და ვითარების, კითხვითობის, უარყოფის, ქართული **„თვის“** თანდებულის შინაარსის გამომხატველი ელემენტები... ასეთი ფორმები იმდენად ხშირია, რომ ამ ენის მორფოლოგიური კლასიფიკაციის დროს უნდა განვაცხადოთ: **აფხაზური არის აგლუტინაციური ტიპის ენა ინკორპორაციის მძლავრი ნიშნებით.**

თ. გ უ ჩ უ ა (ქუთაისი)

## **ლექსიკურ-გრამატიკულ ოპოზიციათა ნეიტრალიზაცია შესრულებით გამონათქვამებში<sup>1</sup>**

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში თეორიამ პერფორმატივების (ანუ შესრულებითი გამონათქვამების) შესახებ ენის ფუნქციონირების საკითხი განსხვავებულად წარმოაჩინა და დაგვანახვა, რომ ენის დანიშნულება ხშირად არა მხოლოდ ასახვა, არამედ მოქმედების ჩადენაცაა.

ტრადიციული ლინგვისტიკური თვალსაზრისით, მოქმედების საპირწონე პერფორმატივები გრამატიკული კატეგორიების ასიმეტრიულობით ხასიათდება და მათი ამოცნობაც სწორედ ამ ნიშნითაა შესაძლებელი. ამ რიგის გამონათქვამებში ნეიტრალიზებულია გრამატიკული ოპოზიციები და მთავარ ღერძს პირველი პირის, მხოლოდობითი რიცხვისა და აქტი-

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (PHDF – 21-091).

ური ზმნის ფორმა წარმოადგენს (მაგალითად, *გისურვებ, გთხოვ, გპირდები, გიკრძალავ* და ა. შ.); მსგავსი სიტყვა-ფორმულები ძირითადად სხვადასხვა სამეტყველო რიტუალში დასტურდება და ისეთ შემთხვევებს გულისხმობს, როგორებიცაა: დალოცვა, წყევლა, თხოვნა, დაპირება, აღიარება, გაფრთხილება და სხვა.

ქართულში პერფორმატიული ზმნის პოვნეების მიხედვით, ე. წ. კანონიკური ფორმის შესრულებითი გამონათქვამების გვერდით, დასტურდება შემთხვევები შემდეგი სტრუქტურული თავისებურებებით: 1. პერფორმატიული ზმნა ნაგულისხმევია და ფრაზაც ელიფსურადაა წარმოდგენილი (მაგალითად, დალოცვა: *შენს პირს შაქარი*; დაპირება: *შენი – ხმალი, ჩემი – კისერი*; დაფიცება: *შენ – დედა, მე – შვილი* და ა. შ.) და 2. გამონათქვამში ზმნა არის პოვნეიერი, მაგრამ არა პერფორმატიული (მაგალითად, *ჩემი წყალი გადაგესხას*). ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ორ შემთხვევას გულისხმობს: ა) როცა ნაგულისხმევია პერფორმატიული ზმნა „გისურვებ“ (მაგალითად, *გისურვებ, რომ ჩემი წყალი გადაგესხას*) და ბ) როცა ნაგულისხმევია მოდალური ელემენტი და ამით ირღვევა პერფორმატივის კანონიკური კონსტრუქცია (მაგალითად, *მინდა, რომ ჩემი წყალი გადაგესხას*). ასეთ შემთხვევებში გამონათქვამს პერფორმატიულობას სძენს ის ილოკუციური ძალა, რომელიც კონტექსტიდან გამომდინარეა ცნობილი.

საინტერესოა, რომ შესრულებით გამონათქვამებში, გრამატიკულ კატეგორიებთან ერთად, ნეიტრალიზაცია გვაქვს ლექსიკის დონეზეც: შემადგენელი კომპონენტები გადატანითი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი და ფრაზის მთლიანი შინაარსი გამოიყვანება ისეთ რიტუალურ მოქმედებებთან კავშირში, რომელიც მოცემული ეთნოსის კულტურაშია პოვნეიერი (მაგალითად, *შენ შემოგველე* – უკავშირდება ე. წ. თავშემოვლის რიტუალს; *შეგიცხვეს ცხვირი* – უკავშირდება ძველ ქართულ სასჯელის ფორმას, ცხვირის მოჭრას და ა. შ.). ჩვენი მიზანია, მოხსენებაში წარმოვადგინოთ რამდენიმე ქართული შესრულებითი გამონათქვამი სტრუქტურული და ანთროპოლინგვისტური თავისებურების ხაზგასმით.

ქ. დათუკიშვილი (თბილისი)

## **ცალკე მდგომ კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურებანი თანამედროვე ქართულში**

ბრუნვის კატეგორია ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში, ყველაზე მეტ თავისებურებას ნაცვალსახელთა ფორმაწარმოებისას გვიჩვენებს.

კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელების (ვისი, რისი / რისა) ბრუნება დაწვრილებით არის განხილული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ა. არაბული...), მაგრამ მაინც დგება გარკვეული საკითხები, რომლებზეც აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და საჭიროა მათი დაზუსტება.

**ვისი** და **რისი** ნაცვალსახელების ბრუნებისას გამოიყენება ორგვარი ფუძე: ბოლოთანხმოვნისანი (**ვის, რის**) და ბოლოხმოვნისანი (**ვისა, რისა**).

**ვისი** ნაცვალსახელს ხმოვანფუძიანი ფორმები ეწარმოება მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში (*ვისა-მ, რისა-მ, ვისა-ს, რისა-ს*), **რისი** ნაცვალსახელს კი – სახელობითშიც (რისა).

მკვლევრები პარადიგმებში სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენენ კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმებს. ა. შანიძე და ლ. კვაჭაძე გარკვეულ შემთხვევებში ქმნიან სხვადასხვა პარადიგმას ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი ვარიანტებისათვის, სხვა შემთხვევებში კი წარმოგვიდგენენ „შერეულ“ პარადიგმას, რომელშიც ზოგ ბრუნვაში გამოყენებულია ბოლოთანხმოვნისანი ფუძე, ზოგში კი – ბოლოხმოვნისანი. ა. არაბულს ერთსა და იმავე პარადიგმაში, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში, წარმოდგენილი აქვს პარალელური ვარიანტები (ვის-მა // ვისა-მ; რის-მა // რისა-მ; ვის-ს(ა) // ვისა-ს; რის-ს(ა) // რისას).

ვფიქრობთ, საჭიროა დამატებითი კვლევა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელთა პარალელური ვარიანტების გამოყენების ზუსტი სურათის დასადგენად. მოხსენებაში განხილული იქნება ეს ფორმები თანამედროვე ქართული ენის მონაცემთა (ქართული ენის კორპუსების მასალის) გათვალისწინებით, აგრეთვე კითხვით და კუთვნილებით ნაცვალსახელებთან მიმართებით.

თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე (თბილისი)

## **მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ტიპები**

### **თანამედროვე ქართულში**

(ატრიბუტული მსაზღვრელი)

თანამედროვე ქართულში ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოიცემა ზედსართავი სახელით ან მიმღობით (**დიდი** სახლი, **პატარა** გოგო, **დედაშვილური** სიყვარული, **გახარებული** ბავშვი...), რიცხვითი სახელითა (**სამი** მეგობარი, **მეთერთმეტე** კლასი...) და ნაცვალსახელით (**ჩვენი** სკოლა, **ეს** გზა, **ზოგი** საკითხი...). ატრიბუტულ მსაზღვრელად დასტურდება აგრეთვე ზომის, საწყაოს, რაიმე ერთეულისა თუ სიმრავლის აღმნიშვნელი სახელები (**ჭიქა** წყალი, **ურემი** შეშა, **ზღვა** ხალხი...), პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის გამომხატველი სიტყვები (**პროფესორი** რაზმაძე, **მწერალი** მიხეილ ჯავახიშვილი, **ადვოკატი** გელაშვილი...), გეოგრაფიულ სახელთა თუ სათაურ-სახელწოდებათა დანართები (**აღმოსავლეთი** საქართველო, **დასავლეთი** ევროპა; **ქალაქი** თბილისი, **სოფელი** დიღომი; **რომანი** „დიდოსტატის მარჯვენა“, **კინოფილმი** „დიდი გასეირნება“...) და მიმართვისას გამოყენებული ქართული თუ უცხოური სიტყვები (**ბატონი** ზურაბი, **ქალბატონი** რუსუდანი, **მისტერ** ჰიგინსი, **ლედი** ჰამილტონი...). ამ უკანასკნელს (მიმართვის სიტყვებს) განეკუთვნება აგრეთვე ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სახელები (**დეიდა** ქეთევანი, **ბიძია** გიორგი...) და სასულიერო პირთა მიმართვისას გამოყენებული სიტყვები (**მამა** პეტრე, **დედა** ეფემია...).

სახელს ქართულში ორი გრამატიკული კატეგორია აქვს – ბრუნვისა და რიცხვის, ამიტომ მსაზღვრელის სინტაქსური მიმართება საზღვრულ წევრთან სწორედ ბრუნვასა და რიცხვში ურთიერთობას გულისხმობს, რისთვისაც, თავის მხრივ, გასათვალისწინებელია:

- ა) ატრიბუტული მსაზღვრელის წყობა პირდაპირია თუ ინვერსიული;
- ბ) ბოლოთანხმოვნია სახელით არის წარმოდგენილი ატრიბუტული მსაზღვრელი თუ ბოლოხმოვნია;
- გ) პრეპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი უშუალოდ საზღვრულთან დასტურდება თუ გათიშულია მისგან წინადადების სხვა წევრით;
- დ) რომელი მეტყველების ნაწილით არის გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი (ზედსართავით, რიცხვითით, ნაცვალსახელით თუ არსებითით);
- ე) ებიან მრავლობითშია საზღვრული თუ ნართანიანში.

მოხსენებაში (ზემოთქმულის გათვალისწინებით) წარმოდგენილი იქნება ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის ბრუნების ტიპები (თანამედროვე ქართული ენის მონაცემთა მიხედვით).

მ. თ ე თ რ ა ძ ე (თბილისი)

## ე. წ. ქართული „გადიების ენის“ კვლევისათვის

ე. წ. „გადიების ენა“ (ფოჩხუა, 1974: 207), *resp.* საბავშვო ლექსიკა შეიძლება მივაკუთვნოთ ჟარგონს, რომელიც გამოირჩევა ლექსიკის შეზღუდული რაოდენობითა და თემატიკით. ლექსიკა შინაარსობრივად, რა თქმა უნდა, უკავშირდება იმ გარემოს, რომელშიც ბავშვი მეტყველებას იწყებს და შედგება პირველი რეგისტრის სიტყვებისაგან.

სპეციალიზებულ საბავშვო ლექსიკას შეიძლება ჰქონდეს სამი წყარო: 1. საკუთრივ ბავშვის მეტყველება, 2. ძირითადი (ზრდასრულთა) ლექსიკის ბავშვის მიერ წარმოებული ფორმები და 3. სიტყვები, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული ოჯახში გამოიყენება მცირეწლოვან ბავშვებთან ურთიერთობისას (ჩირიკვა, 1992: 172).

ქართული საბავშვო (ბავშვისადმი მიმართული) ენა ნაკლებად არის შესწავლილი. ფონოლოგიურ თავისებურებათა განხილვისას ვ. ჩირიკვა, სხვა კავკასიური ენების მასალასთან ერთად, მოიხმობს ქართულის მონაცემებსაც. ლექსიკის ცალკეული ნიმუშები შესულია ქველში და მითითებული აქვს განმარტება „ბავშვის ენა“.

ჩვენ მოვიძიეთ სხვადასხვა ლექსიკონში გაბნეული საბავშვო ლექსიკა, ასევე გამოკითხვის შედეგად შევკრიბეთ ისეთი სიტყვები და ფრაზები, რომლებიც გამოცემულ ლექსიკონებში არ გვხვდება.

შეკრებილი მასალა გაანალიზებულია რამდენიმე თვალსაზრისით:

დანიშნულების მიხედვით, ლექსიკა ნაწილდება შემდეგ ჯგუფებად:

1. სიტყვები, რომლებიც უკავშირდება ბავშვის ყოველდღიურ რუტინას: ჭამა, ძილი, სასეირნოდ, გარეთ გასვლა;
2. გაფრთხილება-აკრძალვის ლექსიკა;
3. პირველი სიტყვები (ცხოველების სახელები, საჭმლის სახელები);
4. მოსაფერებელი ფორმულები და სიტყვები. თითოეული თემატური ჯგუფი, თავის მხრივ, შეიძლება შედგებოდეს ქვეჯგუფებისაგან.

ლექსიკის დიდი ნაწილი ხმაბაძვითი სიტყვებია (პიპია – მანქანა, მუუ – ძროხა); გვხვდება ასევე ფონოლოგიურად და მორფოლოგიურად გამარტივებული ფორმები: სიტყვათა გამარტივების მიზნით მიმართავენ ბგერათა დაკარგვას (წყალი > წალი, ბურთი > ბუთი), ასიმილაციას (ფეხი > ფეფი), ფუძეთა გაორკვევას (ჭუპა-ჭუპა, ფუ-ფუ-ა, ნამუ-ნამუ, კვეკვერა...).

თუმცა სიაში ისეთი ფორმებიც დასტურდება, რომლებსაც ისტორიულად შეიძლება სხვა მნიშვნელობა ჰქონდა და დღეს, ძირითადად, ბავშვისადმი მიმართულ მეტყველებაში გამოიყენება, მაგალითად, **ფიას**

სულხან-საბა განმარტავს ამგვარად: „უძუძურის ჩჩვილის შეჭამადი“. დღეს კი **ფია** ბავშვის ნებისმიერ ძირითად საჭმელს ეწოდება, გვხვდება კომპოზიციაც – **რძეფია; აჩუ** სულხან-საბასთან განმარტებულია, როგორც „ცხენთ შერისხვა“, საბავშვო ენაში კი ცხენს ნიშნავს.

ფუძეთა აგებულების თვალსაზრისით, ქართული სპეციალიზებული საბავშვო ლექსიკაც მიჰყვება ამ ჯგუფის ლექსიკის ყველაზე გავრცელებულ ტიპს – CVCV, თუმცა ასევე ხშირია CV ერთმარცვლიანი სიტყვები, რომლებიც ფორმდება -ა სუფიქსით. სავარაუდებელია, რომ -ა აქ მახვილის ადგილია და ემსახურება კნინობითობის გამოხატვას, რაც, ზოგადად, სხვადასხვა ენაში ამ ტიპის ლექსიკის სიტყვაწარმოების დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს.

კნინობითობა გამოიხატება ასევე კანონიკური კნინობითი სუფიქსების დართვით: -უკ-ა, უც-ა (ფაფუკა < ფაფა, ფეფუცა < ფეხი); ამასთან, შეინიშნება ერთი ნიშანდობლივი ფორმაწარმოება – კნინობითობის ელფერის მისაცემად -ებ მრავლობითის სუფიქსის გამოყენება, რაც ემთხვევა *pluralis poeticus*-ის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას (ტრონსკი 1983).

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ქართული საბავშვო ლექსიკის ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური თავისებურებანი.

დ. კ ა კ ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

## **ქართულ-ნახური ლექსიკური შეხვედრები<sup>1</sup>**

ქართულ-ნახური ენობრივი ურთიერთობების კვლევას არაერთმა ენათმეცნიერმა დაუთმო ყურადღება. ამავე თემას ეძღვნებოდა ჩვენ მიერ გასული წლის საინსტიტუტო სესიაზე წაკითხული მოხსენება, თუმცა, მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, საკითხი კვლავაც აქტუალურია.

მოხსენებაში განხილული იქნება, ერთი მხრივ, ქართული ენიდან, უმეტესად აღმოსავლური დიალექტებიდან წოვათუშურში შესული ლექსიკური ერთეულები, მეორე მხრივ კი, ნახური ენებიდან მთის დიალექტებში ნასესხები სიტყვები.

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II №FR-18-3659).



რამდენადაც წოვათუშურ ენას აქტიური ურთიერთობა უხდებოდა როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებთან, ისე კახურთან და სალიტერატურო ენასთან, ამიტომ ხშირად ვლინდება მასში სწორედ ამ გზით სხვადასხვა პერიოდში შესული სიტყვები:

წოვათ. **ბულაყ** – ჭა; თუშ. **ბულაყ**; იმავე მნიშვნელობით დასტურდება **ბულაყი** კახურსა და ფერეიდნულშიც.

წოვათ. **გუჯაბი** – ხბოს ან ბატკნის კუჭი; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **გუჯაბი** არის საკლავის შიგნეულობა, ფაშვანაწლავები. აგრეთვე, გადატანითი მნიშვნელობით, იგი აღნიშნავს მოდგმას, ჯილაგს, ჯიშს. ამასვე შეიძლება დავუკავშიროთ ხევსურულ დიალექტში სახეცვლილი მნიშვნელობით დადასტურებული **გუჯაბი** – თივის ზვინი, რომელიც შუა წელზე არის გამობერილი.

წოვათუშური **ბაჩადო<sup>ნ</sup>** – პატარა ცხენი – ჰიბრიდული კომპოზიტი ჩანს. პირველი ნაწილი – *ბაჩა* – ქართულიდან შეთვისებული უნდა იყოს, *დო<sup>ნ</sup>* კი წოვათუშურია და ცხენს ნიშნავს. მოცემული ფუძე სხვადასხვა ფორმით უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში დასტურდება. **ბაჩა** პატარა ტანის საქონელს ნიშნავს, ბაჩანა კი პატარა ტანის კაცს. დასავლური დიალექტებიდან მოცემული ფუძე დასტურდება ლეჩხუმურში (**ბაჩაკი** – პატარა ტანის ძროხა).

წოვათ. **ბაყლაყ** – ნორჩი ხე. თუშურ ლექსიკონში **ბაყლაყ** განმარტებულია, როგორც სუსტად განვითარებული ხემცენარე. ხევსურულში **ბაყალიკა** ნორჩი ფიჭვის ხეს აღნიშნავს. საბას ლექსიკონშიც **ბაყილა**, **ბაყილო** იმავე სემანტიკის მატარებელია „ახალი ნორჩი ხილის ხე“. აღნიშნული ფუძე დასტურდება მთიულურ-გუდამაყრულშიც: **ბაყილა** – ნორჩი ხე.

არაიშვიათია მთის დიალექტებში ნახური ენებიდან შესული ლექსიკური ერთეულები. ასეთი უნდა იყოს თუშურში წარმოდგენილი **ბატრაბ** – ქვედა ტუჩი, უმეტესად ცხოველზე ითქმის, შედარებისას ადამიანზეც. წოვათუშურში **ბატრ** ტუჩს ნიშნავს, წარმოდგენილია კომპოზიტებშიც: **ბატრ-ბაქი** – ცხვირ-პირი, ზმნურ ფუძეში ბატრბატრ-დ-არ – ტუჩების აპრუწვა და სხვ. ჩეჩნურ-ინგუშურში იმავე მნიშვნელობით გვაქვს **ბართ** ფუძე.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ჩვენს ხელთ არსებული სრული მასალა, ყურადღება გამახვილებული იქნება მათ სტრუქტურულ და სემანტიკურ მახასიათებლებზე.

## ინტერფიქსი და მისი როლი გრამატიკალიზაციის პროცესში

ინტერფიქსი ანუ შუასართი წარმოადგენს სიტყვათმწარმოებელ აფიქსს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ორ ძირს რთული სიტყვის საწარმოებლად. ქართულში ინტერფიქსი გვხვდება ხმაბაძვითი ძირებისაგან შედგენილ ხმოვანმონაცვლე (აბლაუტურ) რედუპლიკაციებში, რომელთაც ბუნებრივად აქვთ თხზული სიტყვის სტრუქტურა. ასეთია, მაგალითად, რაკ-ა-რუკ-ი, სადაც რაკ- ბაზისური ფორმაა, -ა- არის ინტერფიქსი, რუკ- – რედუპლიკანტი, ხოლო -ი – სახელობითი ბრუნვის ნიშანი, რომელიც მთლიან კონსტრუქციას დაერთვის (იმავე სტრუქტურულ ურთიერთობებს ვხედავთ ფორმაში რაკ-ი-რუკ-ი, სადაც -ი- არის ინტერფიქსი).

აღნიშნული მიმართებები შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:  $[[x][y]]$  ასახავს თხზვას, ხოლო  $[[x]y]$  – წარმოქმნას; შესაბამისად,  $[[x][y]]$ -NOM ასახავს სრული რედუპლიკაციის შედეგად მიღებულ ხმაბაძვით კომპოზიტებს (მაგალითად, რაკრაკი), სადაც  $[x]$  არის რაკ,  $[y]$  არის რაკ, ხოლო NOM არის -ი (სახელობითი ბრუნვის ნიშანი). რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ფორმებში არსებულ ურთიერთობებს, მათ ასახავს ფორმულა  $[[x]z[y]]$ -NOM, სადაც  $[x]$  არის რაკ,  $[y]$  – რუკ,  $z$  არის -ა- ანუ ინტერფიქსი;  $[[x]z[y]]$  არის რაკარუკ-, ხოლო  $[[x]z[y]]$ -NOM არის რაკარუკ-ი. ფორმულის კომპონენტების ფუნქციური გადანაწილება შემდეგია:  $[x]$  – ბაზისური ფორმა,  $z$  – ინტერფიქსი,  $[y]$  – რედუპლიკანტი; მათი კომბინირების შედეგად მიღებული საბოლოო პროდუქტი ( $[[x]z[y]]$ ) კი წარმოადგენს რედუპლიკაცივს. სავალდებულოდ მიგვაჩნია კიდევ ერთი, დამატებითი წესის კონსტატირება: თუ  $[x]$  და  $[y]$  აბსოლუტურად იდენტურია სემანტიკურად (მაგალითად,  $x =$  რაკ,  $y =$  რაკ), მაშინ  $z$  არ დაჩნდება; თუ  $[y]$  წარმოადგენს  $[x]$ -ის აბლაუტურ სახეცვლილებას (მაგალითად,  $x =$  რაკ,  $y =$  რუკ), მაშინ  $z$  დაჩნდება როგორც ამ ფუძეების შემაერთებელი ელემენტი (ქართულში ესენია -ა- / -ი-).

აქ მიმდინარე პროცესების სრული სურათის წარმოსაჩენად უნდა განვიხილოთ არა მარტო მათში შემავალი ყველა კომპონენტი, არამედ მათთან დაკავშირებული ყველა ფორმა; ეს იმისათვისაა საჭირო, რომ უკეთ დავინახოთ ინტერფიქსის როლი ჩვენთვის საინტერესო ფორმების ჩამოყალიბებაში. ჩვენი აზრით, ვინაიდან რაკ-, ლაჟ-, ბაზ- და მისთანა ერთეულები ოდენ ონომატოპებს (ხმაბაძვით ძირებს) წარმოადგენენ, მათგან ნაწარმოები ერთეულების გრამატიკალიზაციის პროცესი ნაირგვარად მი-

მდინარეობდა და, შესაბამისად, შედეგებიც ნაირგვარია. ერთ-ერთი ასეთი პროცესის შედეგს წარმოადგენს ჩვენ მიერ ნახსენები აბლაუტური ხმაბაძ-ვითი რედუპლიკაცია, რომლის კონსტრუქციაში თავისი ადგილი უჭირავს ინტერფიქსს (ა/ი).

აბლაუტური ხმაბაძვითი რედუპლიკაციის პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება და მასში თავის კუთვნილ ადგილს იკავებს შუასართი:

1. მარცვლოვანი შაბლონი სრულად გაორკვედება და ეს ელემენტი, როგორც რედუპლიკანტი, დაერთვის საბაზისო ფორმას; შესაბამისად, გვაქვს:  $C_aC > C_aC.C_aC$ ; მაგ., *ბახ.ბახ, ლაწ.ლაწ, რაკ.რაკ ...*

2. აბლაუტით მოტივირებული ხმოვანთცვლილება (*აუ*) ხდება რედუპლიკანტში; შესაბამისად გვაქვს:  $C_aC.C_aC > C_aC.C_uC$ ; მაგ., *ბახ.ბახ > ბახ.ბუბ, ლაწ.ლაწ > ლაწ.ლუწ, რაკ.რაკ > რაკ.რუკ ...*

3. გრამატიკალიზაციის პროცესი დაგვირგვინდება აფიქსაციის მეშვეობით: ფონოტაქტიკის თვალსაზრისით, *-ი* და *-ა* მოქმედებს, როგორც ეპენტეზური სეგმენტები, ხოლო, მორფოლოგიის თვალსაზრისით, ისინი ასრულებენ ინტერფიქსის როლს საბაზისო ფორმასა და რედუპლიკანტს შორის; შესაბამისად, გვაქვს:  $C_aC.LINK.C_uC$ ; მაგ., *ბახ-ი-ბუბ-ი* ან *ბახ-ა-ბუბ-ი*, *ლაწ-ი-ლუწ-ი* ან *ლაწ-ა-ლუწ-ი*, *რაკ-ი-რუკ-ი* ან *რაკ-ა-რუკ-ი...*

ეს მოდელი თვალსაჩინოდ წარმოაჩენს შუასართის როლს ხმაბაძვითი ძირების გრამატიკალიზაციის პროცესში.

მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა (თბილისი)

## **I და II პირის ნაცვალსახელებთან ცალკე მდგომ თანდებულთა გამოყენებისათვის**

ქართულ სალიტერატურო ენაში, გარდა იმ თანდებულებისა, რომლებიც სახელის ბრუნვის ფორმას შეუერთდნენ და, ჩვეულებრივ, ერთმარცვლიანებია (*-ვით, -თან, -ზე, -ში...*), მოიპოვება ისეთი თანდებულებიც, რომლებიც ორმარცვლიანებია და არ უერთდებიან ბრუნვის ფორმას. მათ ცალკე მდგომ თანდებულებს უწოდებენ. ისინი დამოუკიდებელ სიტყვებად იწერება და ენაში ძირითადად ზმნიზედებად გამოიყენება. „სახელის ბრუნვის ფორმას შეერთებული ერთმარცვლიანი თანდებულებისგან დასახელებული თანდებულები და ზმნისართები ერთგვარად განსხვავდებიან. მიუხედავად იმისა, რომ პირველები შედარებით ცოტაა, რამდენიმე ბრუნვაზე არიან განაწილებული. დაერთვიან მიცემითს, მი-

მართულებითს, ნათესაობითს, მოქმედებითს ბრუნვებს. ცალკე მდგომი თანდებულები და განსაკუთრებით საკმაოდ მრავალრიცხოვანი ზმნისართები კი – ყველანი ერთსა და იმავე ბრუნვას დაერთვიან: ნათესაობითსა და მიცემითს ერთდროულად ან მხოლოდ ნათესაობითს...“ (ნორმები).

ასეთი ცალკე მდგომი თანდებულები და ზმნისართებია: **მიერ, მიმართ (მიმართ), გამო, გარდა, მაგიერ, ნაცვლად, შესახებ, ქვეშ, ქვევით, ირგვლივ, ახლოს, გვერდით, გასწვრივ, მარჯვნივ, მარცხნივ, პირას, წინაარმდეგ, მოშორებით, შუა, შორის, ზევით** და სხვა.

„ნათესაობითი ბრუნვის თანდებულთა უმეტესობა შეიძლება შეგვხვდეს I და II პირის ნაცვალსახელებთან: **ჩემ, ჩვენ, შენ, თქვენ**. ყველა შემთხვევაში ნაცვალსახელი წარმოდგენილი იქნება ბრუნვის ნიშნის გარეშე: **ჩემ გარდა, შენ შესახებ, ჩვენ გამო, თქვენ შემდეგ, ჩემ მიერ, თქვენ უკან, ჩვენ შორის...**“ (ავთ. არაბული)

თანამედროვე ქართულ ენაში, რადიო-ტელევიზიისა და პრესის ენაში, მწერლობაში ზემოთქმული წესიდან გადახვევის მრავალი შემთხვევა გვხვდება. I და II პირის ნაცვალსახელები ცალკე მდგომ თანდებულებთან დასტურდება როგორც უსანო, ისე სანიანი ფორმები.

მაგალითად, **ჩვენს მიმართ//ჩვენ მიმართ**: „შობა არის ღმერთის ყველაზე დიდი სიყვარულის ნიშანი **ჩვენს მიმართ**“ (tavisupleba.org), შდრ.: „...გენერალური მდივნის მოხსენებაში **ჩვენ მიმართ** შენიშვნები და მოთხოვნები არ არის“ (tavisupleba.org). **შენს წინ//შენ წინ**: „...შენ მარტო იყავი ამ წვევარამსა და უკუნეთში, **შენს წინ** კი უზარმაზარი, გაშუქებული ზღვა ავად შრიალებდა“ (გ. დოჩანაშვილი), შდრ.: „**შენ წინ** გადახსნილან აწ ჩვენი გულები“ (გრ. რობაქიძე). **თქვენს უკან//თქვენ უკან**: „მილანში“ **თქვენს უკან** პირლო, ზეედორფი, რუი კომტა და კაკა თამაშობენ“ („ხვალინდელი დღე“: 2005), შდრ.: „**თქვენ უკან** დიდი ძალა დგას და ვერავინ მოგერევათ?“ („ახალი თაობა“: 2006). **ჩემს ირგვლივ //ჩემ ირგვლივ**: „**ჩემს ირგვლივ** და ჩემს გამო შეიქმნა დავა-კამათი“ (ლ. გოთუა), შდრ.: „აქ, **ჩემ ირგვლივ**, არავინაა ისეთი, ჩემი რომ ესმოდეს...“ (გ. დოჩანაშვილი) და მრავალი სხვა.

საანალიზო მასალის მიხედვით, სტატისტიკურად, **სანიანი** ფორმები (**ჩემს ირგვლივ, შენს მიერ, ჩვენს მარჯვნივ, თქვენს გასწვრივ...**) სჭარბობენ **უსანო** ფორმებს (**ჩემ ირგვლივ, შენ მიერ, ჩვენ მარჯვნივ, თქვენ გასწვრივ...**), რაც განსაკუთრებით თვალში საცემია თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

ისმის კითხვა: როგორ წარმოვადგინოთ I და II პირის ნაცვალსახელები ცალკე მდგომ თანდებულებთან?

მოხსენებაში ვრცლად იქნება მსჯელობა ცალკე მდგომ თანდებულ-ზმნისართთა I და II პირის ნაცვალსახელებთან გამოყენების შემთხვევებზე.

რ. ლ ო ლ უ ა (თბილისი)

**კლასის გრამატიკული კატეგორიის ექსპონენტთა რეკონსტრუქციისათვის ლეზგიურ ენებში**

გრამატიკული კლას-კატეგორია მოქმედია შვიდ ლეზგიურ ენაში; ესენია: თაბასარანული, წახური, რუთულური, არჩიბული, კრიწული, ბუდუხური, ხინალულური. ამათგან, თაბასარანულში ორკლასიანი სისტემა დასტურდება, რომელიც გონიერისა და არაგონიერის (ადამიანისა და ნივთის) დაპირისპირებას ეფუძნება, ხოლო წახურში, რუთულურში, არჩიბულში, კრიწულში, ბუდუხურსა და ხინალულურში ოთხკლასიანი სისტემაა, რომლებშიც პირველი კლასი – მამაკაცსა და მასთან დაკავშირებულ სახელებს მოიცავს, მეორე – ქალსა და მასთან დაკავშირებულ სახელებს, მესამეში – როგორც წესი, არაგონიერი ცოცხალი არსებები შედის და ზოგიერთი არაცოცხალი (ნივთები, მოვლენები, ცნებები), ხოლო მეოთხეში – ის ნივთები, მოვლენები და ცნებები (იშვიათად – ცოცხალი არსებებიც), რომელიც მესამე კლასში არ შედის.

ლეზგიური ენები კლასის ნიშანთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც ართულებს არქექტიპების გამოვლენას. აქედან გამომდინარე, კლასის კატეგორიის ამოსავალი სისტემის აღდგენისათვის უპირველეს მნიშვნელობას იძენს არქექტიპების რეკონსტრუქცია თითოეული ლეზგიური ენისათვის. ვფიქრობთ, რომ ლეზგიურ ენებში შემდეგი კლასის ნიშნები აღდგება:

	მხ. რიცხვი				მრ. რიცხვი	
	I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.	I-II კლ.	III-IV კლ.
არჩ.	ჟ	დ, რ	ბ	*დ	ბ	*დ
რუთ.	ჟ	რ, მ	ბ, ჟ	დ, რ, მ	ბ, *ჟ	*დ, *რ, მ
წახ.	ჟ	რ, მ	ბ, ჟ	დ, რ, მ	ბ, ჟ	დ, *რ, მ
კრიწ.	ჟ	რ	ბ, ჟ	დ, რ, მ	ბ, *ჟ	დ, *რ, მ
ბუდ.	*ჟ	რ	ბ, ჟ	დ, რ, მ	ბ, *ჟ	დ, *რ, *მ
ხინ.	*ჟ	რ	ბ, ჟ	*დ, მ	ბ, ჟ	*დ, მ
თაბ.	*ჟ	რ	ბ, ჟ	*დ, რ, მ	*ბ, *ჟ	*დ, *რ, *მ
აღ.	*ჟ	რ	ბ, ჟ	დ, რ, მ	*ბ, *ჟ	*დ, *რ, *მ
ლეზგ.	*ჟ	რ	ბ, ჟ	დ, რ, მ	*ბ, *ჟ	*დ, *რ, *მ
უდ.	გ (< ჟ)	*რ	ბ	დ	*ბ	*დ
კ.-აღბ.	გ (< ჟ)	*რ	ბ	დ	*ბ	*დ

საერთოლენგიურ დონეზე უეჭველად რეკონსტრუირდება ოთხ-კლასიანი სისტემა. ეს იმით დასტურდება, რომ ექვს ლენგიურ ენაში, როგორც უკვე აღინიშნა, ოთხ-ოთხი გრამატიკული კლასი გვაქვს. ორკლასიანი სისტემა თაბასარანულში, ისევე როგორც გრამატიკული კლასების მოშლა ლენგიურში, აღულურსა და უდიურში – ინოვაციას წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ გრამატიკული კლას-კატეგორია მოქმედია სამ ერთეულში იმ ოთხიდან, რომელიც საერთოლენგიური წინარეენის დაშლის შედეგად წარმოიქმნა (სამურული ენები, არჩიბული, ხინალულური). კლას-კატეგორიის არსებობა სავარაუდოა მეოთხე ერთეულისათვის (უდიურისა და კავკასიის ალბანურის წინარეენა), მით უფრო, რომ კავკასიის ალბანურში დასტურდება ნაცვალსახელური წარმოშობის კლასიფიკატორთა სერია.

ამრიგად, საერთოლენგიურისათვის ვვარაუდობთ შემდეგ სისტემას:


**I კლასი:** \*ჟ – რუთ. ჟ > **ი/თ**: წახ. ჟ > **ი/თ**: კრიწ. **თ/ი** (< \*ჟ): ბუდ. **თ** (< \*ჟ): ხინ. **თ/ი** (< \*ჟ): არჩ. ჟ > **უ, ა, თ**.

**II კლასი:** \*რ – რუთ. რ > **ი/ლ/თ**: წახ. რ > **ი/თ**: კრიწ. რ > **თ**: ბუდ. რ > **ლ/თ**: ხინ. რ: არჩ. რ.

**III კლასი:** \*ზ – რუთ. ზ/ჟ (> **ი/თ**): წახ. ზ/ჟ (> **თ**): კრიწ. ზ (> **ფ, პ**)/ჟ (> **თ**): ბუდ. ზ (> **ფ/თ**): ხინ. ზ (> **ფ**)/ჟ (> **ფ, თ**): არჩ. ზ.

**IV კლასი:** \*დ – რუთ. დ (> **ტ/თ**): წახ. დ (> **თ**): კრიწ. დ (> **თ/ტ/ჯ/თ**): ბუდ. დ (> **თ/თ**): ხინ. **თ** (< \*დ): არჩ. **თ/ტ/თ** (< \*დ).

კლასის ნიშნებით მრავლობითობა გამოიხატება ატრიბუტულ სახელებში, ზმნასა და ნაზმნარ სახელებში. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ივარაუდება, ოთხკლასიანი სისტემებში თავდაპირველად უნდა მომხდარიყო ნივთთა (III, IV) კლასის ნიშანთა განზოგადება და გამოყენება მრავლობითობის აღსანიშნავად. სავარაუდო სისტემა შეიძლება ასეთი სქემის სახით წარმოვადგინოთ:



ეს სისტემა დღეს მეტ-ნაკლებად ყველა ლენგიურ ენაშია დაცული. აქედან გამომდინარე, უპირატესობას ვანიჭებთ საერთოლენგიურისათვის სწორედ ასეთი სისტემის რეკონსტრუქციას, რომელიც მრავლობითი რიცხვის გადმოსაცემად იყენებს III და IV კლასის ფორმანტებს. შესაბამისად, კლასის ნიშნებად მრავლობითში გვესახება \*ზ – I და II კლასისთვის და \*დ – III და IV კლასისთვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში იყო ცდა საერთოლენგიურისათვის კლასის ნიშანთა არა ერთი, არამედ ორი სერიის პოსტულირებისა. მ. ალექსევეის აზრით, საერთოლენგიურში აღდგება კლასის ფორმანტთა „ძლიერი“ და „სუსტი“ სერიები. ვერ ვხედავთ საფუძველს, რომ საერთოლენგიურში კლასის ნიშანთა ორი სერია აღვადგინოთ.

თ. ლომთაძე, ც. ჯანჯღავა (თბილისი)

## **ბრუნების ზოგი თავისებურებისათვის ქართულში**

(ებრაელთა მეტყველების მიხედვით)

თანამედროვე ქართულ ტრადიციულ გრამატიკებში 7 ბრუნვას გამოყოფენ, რომლებსაც თავიანთი ნიშნები აქვთ. ეს ნიშნები განსხვავდებიან ფუძის დაბოლოების მიხედვით. მაგალითად, სახელობით ბრუნვაში ყველა თანხმოვანფუძიანი სახელი დაირთავს ნიშან -ი -ს. ხმოვანფუძიანი სახელები ბრუნვის ნიშანს სალიტერატურო ქართულში არ დაირთავენ, დიალექტებში შეიძლება დაირთონ. მაგალითად, სალიტერატურო ქართულში გვაქვს: ხე, ქვა, ხბო, კუ და ა. შ. დიალექტებში დასტურდება ასევე ხეი, ქვაი, ხბოი, კუი ფორმები. რაც შეეხება -ი -ზე დასრულებულ სახელებს, ისინი სხვაობას არ გვიჩვენებენ. იგივე შეიძლება ვთქვათ საკუთარი სახელების შესახებ.

ებრაელები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოსახლეობდნენ და მათი მეტყველება ემყარებოდა იმ კუთხის მეტყველებას, სადაც ცხოვრობდნენ, თუმცა, რასაკვირველია, არსებობდა თავისებურებებიც. ერთ-ერთი ამგვარია სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან საზოგადო და საკუთარ სახელებზე -ი ნიშნის დართვა. განსხვავებას გვაძლევს ის, რომ ეს -ი გვხვდება ყველა კუთხის ებრაელებთან, განურჩევლად იმისა, მათს დიალექტში დასტურდება ხმოვანფუძიანებთან -ი თუ არა. მაგალითად, ქართლში მცხოვრები ებრაელებისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო „ბიცოლაი“, „ნათელაი“ ფორმები, მაგრამ აღნიშნული ფორმა არ იყო მოსალოდნელი რაჭველ, ლეჩხუმელ ან ქუთაისელ ებრაელებთან, თუმცა დასტურდება. რა კვალიფიკაცია შეიძლება მიენიჭოს -ი-ს ასეთ შემთხვევაში: არის ის საერთოებრაული ნიშანი? ანუ ებრაული ეთნოდიალექტისათვის დამახასიათებელი?

შესაძლოა ეს იყოს მიგრაციული დიალექტიზმის ნიშანი. ცნობილია, რომ ებრაელები თავდაპირველად აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ და აქედან უნდა დაწყებულიყო მათი მიგრაციები დასავლეთში. ამიტომ ხონში, ვანში, ზესტაფონში, საჩხერესა თუ ჭიათურაში მცხოვრები ებრაელები მას ადვილად შეინარჩუნებდნენ, რადგან ეს მოვლენა მათ დიალექტსაც ახასიათებდა. რაც შეეხება რაჭველ, ლეჩხუმელ და ქუთაისელ ებრაელებს, მათ მეტყველებაში ის შეიძლება შეფასდეს, როგორც მიგრაციული დიალექტური ფორმა, რომელიც შეინარჩუნეს ენობრივი იდენტობისათვის. აქედან გამომდინარე, ეს მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს საერთოებრაულ მოვლენად.

ანალოგიურად საერთოებრაულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს მიცემითი (და ზოგჯერ ნათესაობითი) ბრუნვის ნიშნის **-ს**-ს დაკარგვა, რომელიც ასევე ყველა კუთხის ებრაელებს ახასიათებთ: „მირ გდია“, „მეზობელ ვეტყვი“, „ბატი ყალია“ და სხვა. აქაც დიალექტური პროცესის უნიფიცირებაზეა საუბარი.

აქვე აუცილებელია მივუთითოთ მეორე პროცესზეც. დიალექტებში საკუთარი სახელები უმეტეს შემთხვევაში დაირთავს **-თ** ან **-ი** დაბოლოებას. მაგალითად: „ლევანი, მოდი რა ახლოს“; „ეთერო, ძალიან ლამაზი ხარ“ და ა. შ. ებრაელებთან ამ შემთხვევაში დასტურდება სალიტერატურო ქართულის მსგავსი მდგომარეობა: საკუთარი სახელი უმეტესად ფუძის სახითაა წარმოდგენილი. მაგალითად: „აბრაამ, მოიხედე ერთი“, „შიმშონ, როდის ჩამოხვედი?“ და სხვა. ანუ ერთ შემთხვევაში დიალექტური ფორმის უნიფიცირება ხდება, ხოლო მეორე შემთხვევაში – სალიტერატუროსი.

უფრო მეტიც, ხშირად სახელობით ბრუნვაშიც ჩამოცილებული აქვთ ნიშანი **-ი**, „ბაბუაჩემი რაბი ისააკ იყო.“

ამდენად, ბრუნების პარადიგმა ებრაელებთან შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ (თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი):

- სახელობითი **-ი**, **0**; **-ი**
- მოთხრობითი **-მ**; **-მა**
- მიცემითი **-0**, **-ს**; **-ს**
- ნათესაობითი **-ი**; **ის**; **- სი**
- მოქმედებითი **-ით**; **-თი**
- ვითარებითი **-ად**; **-დ**
- წოდებითი **-0**, **-ო**, **-ვ**.

მ. ლ ო მ ი ა, რ. ქ უ რ დ ა ძ ე, ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი,  
ნ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე (თბილისი)

### **არ და მისი ფარდი ნაწილაკები ზმნურ ფორმებთან ქართველურ ენებში: სემანტიკური დიფერენციაციის საკითხი**

ქართულ ენაში არ ნაწილაკი პრევერბალური უარყოფის შემადგენელი კომპონენტია. მას მეგრულში **ვა**, ლაზურში **ვა/ვარ** ნაწილაკები შეეფარდება. რაც შეეხება სვანურს, ეს ენა გამოირჩევა უარყოფით ნაწილაკთა სიმრავლით, რომლებიც ერთმანეთისგან არა მხოლოდ დიალექტურად, არამედ ნიუანსობრივად და გარკვეულწილად ფუნქციურადაც განსხვავ-



დება; ქართულად მათი დიდი ნაწილი „არ(ა)“-დ გადმოდის, თუმცა მათი გამოყენების არეალი როგორც კონტექსტუალურად, ასევე მწკრივებთან შეფარდების თვალსაზრისით განსხვავებულია. ქართულში, მეგრულსა და ლაზურში არ და მისი ფარდი ნაწილაკების დისტრიბუცია ზმნასთან მიმართებით ერთგვაროვანია, რაც იმას ნიშნავს, რომ ზემოჩამოთვლილი ნაწილაკები ყველა მწკრივის ფორმას ეგუება (ყველა მწკრივის ფორმასთან დასტურდება); სვანურში კი ერთ-ერთი ნაწილაკი **დემის**, რომელიც ქართულად (ისევე, როგორც დანარჩენები) „არა“-დ ითარგმნება, ამ მხრივ შეზღუდულია: **ის გამოკვეთილად კატეგორიულობას გამოხატავს და ვერ ეფარდება მეორე და მესამე სერიების მწკრივებს.**

ცნობილია, რომ **არ** ნაწილაკის ძირითადი ფუნქცია **მარტივი (კატეგორიული) უარყოფის** გამოხატვაა, თუმცა I თურმეობითის ზმნურ ფორმებთან **არ** ნაწილაკი ნეიტრალურ უარყოფას გამოხატავს, რაც უფრო **შესაძლებლობის უარყოფას** უახლოვდება, ვიდრე – კატეგორიულს. აღნიშნული სემანტიკური სხვაობა კარგად ჩანს **არ** ნაწილაკიანი I და II სერიების თხრობითი კილოს მწკრივებისა და I თურმეობითის მწკრივის ფორმათა ერთმანეთთან შედარებისას; მაგალითად, **არ ვწერ** სემანტიკური თვალსაზრისით ასე შეიძლება გავიგოთ: „არ მინდა და არ ვწერ“, ე. ი. „სურვილი არ მაქვს და ამიტომ არ ვასრულებ ამ მოქმედებას“ (კატეგორიული უარყოფა). ასეთივე კატეგორიული უარყოფის შინაარსი იკვეთება სხვა ზმნურ ფორმებთანაც, როგორებიცაა: არ ვწერდი, არ დავწერ, არ დავწერე. განსხვავებულ კონტექტს გვთავაზობს **არ დამიწერია**: „არ გამომივიდა, ვერ შევძელი შემესრულებინა ეს მოქმედება“. ამ შემთხვევაში კატეგორიული უარყოფა ნეიტრალიზებულია, უფრო ზუსტად, სუბიექტის განაცხადი შერბილებულია. მის მიერ მოქმედების შეუსრულებლობა **შესაძლებლობის უქონლობაზე** მიანიშნებს.

**არ** ნაწილაკი გამოხატავს კატეგორიულობის თუ შესაძლებლობის უარყოფას, კანონზომიერად უკავშირდება სუბიექტის მარკირების საკითხს; კერძოდ, იმას, თუ რითია გამოხატული სუბიექტი: **ვ**-ინის რიგით თუ **მ**-ანის რიგით.

საანალიზო საკითხი იმითაც არის საინტერესო, რომ გვიჩვენებს როგორც საერთოქართველურ ენობრივ პროცესებს, ასევე საკუთრივ ამ ენებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებსაც.

ნ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი (თბილისი)

## **მოჩვენებითობის კილოს -შა სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში**

აფხაზური აგლუტინაციური ტიპის ენაა. სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, იგი გამოირჩევა სახელურ და ზმნურ სიტყვაფორმათა მაწარმოებელი მორფემების სიუხვით.

აფხაზური ენის აფიქსები და მოდალური ელემენტები მეტწილად დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვებიდან მომდინარეობენ. ზოგჯერ ადვილად შესაძლებელი აფიქსთა ამოსავალ სიტყვათა მიკვლევა, უფრო ხშირად კი აფიქსის მნიშვნელობა იმდენადაა დაშორებული ამოსავალ ლექსემას, რომ ძნელია მისი წარმოშობის სავარაუდო ისტორიის დადგენა.

აფიქსთა და მოდალურ ელემენტთა გენეზისი თვალნათლივ აჩვენებს, თუ როგორ იქმნებოდა ათასწლეულების მანძილზე უკვე განხორციელებული სიტყვებისაგან მრავალი აფიქსოიდი, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებდა ენის ლექსიკური ფონდის ძირითად ნაწილში, ნელ-ნელა ცვდებოდა და ყალიბდებოდა აფიქსებად, საფუძვლად ედებოდა სიტყვის ახალ წარმოებას.

აფიქსთა წარმომავლობის დადგენა საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ სახელდების პროცესში ცალკეულ სიტყვათა, მომავალში მათი გაცვეთის შედეგად ჩამოყალიბებულ აფიქსოიდთა და აფიქსთა ამოსავალი მნიშვნელობა;

მოხსენებაში წარმოვადგენთ მოსაზრებას მოჩვენებითობის კილოს -შა სუფიქსის წარმომავლობის შესახებ აფხაზურში.

**მოჩვენებითობის კილო** აფხაზურში იწარმოება -შა სუფიქსის დართვით სხვადასხვა ნაკვეთის ფორმაზე: **ი-ზ-ზო -შა** „თითქოს ვხედავ“, **დ-ცა-ზ -შა** „თითქოს წავიდა“, **სგ-ყოუ -შა** „თითქოს ვარ“...

- **შა** სუფიქსი, ჩვენი აზრით, უნდა მომდინარეობდეს აფხაზური **ა-შა** „სიმღერა“ ლექსემისაგან;

თუ გავითვალისწინებთ „სიმღერის“ წარმოსახვით მნიშვნელობას, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს სიტყვა მოჩვენებითობას გამოხატავდეს.

აფხაზურში დამკვიდრებულია **აშაჰარა** „სიმღერის თქმა“ შესიტყვება და აქედან პირიანი ფორმა **აშა(ა)ჰეატ** „სიმღერას ამბობს“...

სავარაუდოდ, მოჩვენებითობის კილოს წარმოებისათვის ამ შესიტყვების ზმნური ნაწილი დაიკარგა და მხოლოდ სახელური ნაწილისაგან მივიღეთ განსახილველი -შა აფიქსი.

აქვე პარალელი გვინდა გავავლოთ ქართულის მოჩვენებითობის „თითქო“/„თითქოს“ ნაწილაკთან, რომელიც სხვადასხვა მწკრივის ფორმას დაერთვის და გამოხატავს მოჩვენებითობას. „მიღებულია აქედან: თუ ითქვას, თუ ითქვა, უა ჯგუფმა ო მოგვცა“ (შანიძე 614), თუმცა, ძველ ქართულში ეს ნაწილაკი არ გვხვდება, სამეტყველო ენისათვის იყო, ალბათ, უფრო ნიშანდობლივი. პირველად არდაზიანთან დასტურდება.

მაგალიტები ქართულისათვის:

„თითქო ნანას ეუბნება ძუძუმწოვრებს ტკბილის ხმითა“, „თითქოს უნდა დაეფინოს იმ ყვავილებს ფიანდაზად“, „ზღვა წყნარია ნამეტანი, თითქო სძინავს“, „თითქოს დამძლია ორგულმა და იარალი ამყარა...“

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზურის -შაუნდა მომდინარეობდეს შესიტყვებისაგან აშა(ა)ჰედტ „სიმღერას ამბობს“, მსგავსად ქართულის „თითქოს“ ნაწილაკისა, რომელიც მომდინარეობს „თუ“ ნაწილაკდართული ზმნური ფორმისაგან, „თუ ითქვას“, ოღონდ აფხაზურის შემთხვევაში ზმნა დაკარგულია.

აფხაზურში უკვე კატეგორიად ჩამოყალიბებული და ქართულში აღწერიტად წარმომებული ერთი და იმავე შინაარსის (მოჩვენებითობის) გამოხატვა ერთმანეთის მსგავსი ენობრივი მსოფლმხედველობით ნაკარნახევი ჩანს, რაც ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით საინტერესოდ გამოიყურება.

თ. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე (თბილისი)

### **ზმნისწინი როგორც პოლიფუნქციური კატეგორია**

ქართული ზმნისწინის კვლევებმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ ქართულ ენაში ზმნისწინს აქვს ათი ფუნქცია. ცხადია, რომ ეს ყველა ფუნქცია ერთნაირად პროდუქტიული არ გახლავთ. უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ქართული (და საერთოდ, ქართველური) ზმნისწინის შემთხვევაში არის ის გარემოება, რომ ეს მორფემა ფუნქციონირებს როგორც ფლექსიური, ასევე დერივაციული დატვირთვით. ამასთან, ზმნისწინს გააჩნია აქტივობა ენის იერარქიის მრავალ დონეზე. ეს დონეებია გრამატიკული ანუ მორფოლოგიური და მორფო-სინტაქსური, სემანტიკური და ასევე ლექსიკური. ამ ტიპის გადაძვეტი ანუ კომბინირებული იერარქიული აქტივობა საკმაოდ ზრდის ზმნისწინის როლს ქართული ზმნის სისტემაში.

მოსხენებაში განხილული იქნება ქართული ზმნისწინის ათი ფუნქცია და ამ ფუნქციათა იერარქიული ურთიერთმიმართებები ქართული ზმნის ჩარჩოსა და ასევე მატრიცის ფარგლებში.

	0	+1	+2	+3	+4
<b>ფლექსიური</b>			<b>თემის ნიშანი</b>		<b>განგრძობითობის მარკერი</b>
<b>ლექსიკური/ დერივაციული</b>	√	<b>პასივის მარკერი</b>		<b>კაუზატი- ვის ნიშანი</b>	

	+5	+6	+7	+8
<b>ფლექსიური</b>	<b>კილოს/ მწკრივის ნიშანი</b>	<b>დამხმარე ზმნა</b>	<b>სუფქსური პირის ნიშანი</b>	<b>მრავლობითო- ბის ნიშანი</b>
<b>ლექსიკური/ დერივაციული</b>				

ცხრილი1. ქართული ზმნის ჩარჩო

<b>#</b>	<b>-3</b>	<b>-2</b>	<b>-1</b>	<b>0</b>	<b>+1</b>	<b>+2</b>
მარკერ- ები	მი მო მიმო და ა ამო გა გამო ჩა ჩამო წა წამო შე შემო გადა გადმო	ვ ხ ჰ ს თ გვ გ ო	უ ა ო ე	√	დ	ავ აბ ებ ობ ო ევ ოვ

#	+3	+4	+5	+6	+7	+8
მარკერ- ები	ინ ეზინ (+ებ)	დ ოდ	ი ე ო ა	ვარ ხარ ა(რს) ვართ ხართ (არი)ან ვიყავ (ი) იყავ (ი) ოყო ვიყავით იყავით ოყვნენ	ს ა ო ეს ენ ნენ ან ნ	თ ნ ენ ნენ ეს ან ნ

ცხრილი 2. ქართული ზმნის ჩარჩო მარკერებით

if → then ↓	-3	-2	-1	0	1	2	3	4	5	6	7	8	
-3	-	0	0		0	0	0	0	0	0	0	0	
-2	0	-	X		0	0	0		X	X	X	X	
-1	0	X	-		X	0	X	0	X	X	X	X	
0													
1	0	0	X		-	0	E	0	0	E	0	0	
2	0	0	0		0	-	X	A	0	0	0	0	
3	0	0	X		E	X	-	0	0	0	0	0	
4	0	0	0		0	0	0	-	0	0	0	0	
5	0	X	X		0	0	0	0	-	0	0	0	
6	0	X	X		E	0	0	0	0	-	X	X	
7	0	X	X		0	0	0	0	0	X	-	X	
8	0	X	X		0	0	0	0	0	X	X	-	

X = RELATION

0 = NO RELATION

E = (TOTAL) EXCLUSION

FLECTIONAL MORPHEME

DERIVATIONAL MORPHEME

ცხრილი 3. ქართული ზმნის მატრიცა.

წარმოდგენილი ქართული ზმნის მატრიცა უჩვენებს ზმნის კატეგორიების ურთიერთმიმართებებს.

ნ. მეტრეველი (პარიზი)

## **ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი (სომატური) ლექსიკის ზოგიერთი ფუნქციის შესახებ**

სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ (სომატურ) ლექსიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ენაში. ის ენის ერთ-ერთი ყველაზე არქაული ფენაა. ენათა შესწავლის საწყისი ეტაპიც, მიუხედავად მისი შემსწავლელის ასაკისა, ამ მასალას უკავშირდება. სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა ლექსიკოლოგიის შესწავლის საგანია. მაგრამ, ამასთანავე, ეს ლექსიკური ერთეულები პოლიფუნქციურია; გარდა ენობრივი ასპექტისა, სომატური ლექსიკა კულტუროლოგიის, სოციალური თუ საკომუნიკაციო სფეროს ან ეთნოლინგვისტიკის შესწავლის ობიექტიცაა.

სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი (სომატური) ლექსიკა, როგორც ამა თუ იმ სფეროს შესწავლის ობიექტი, საკმაოდ რთულ ფენომენად გვევლინება. ერთი სფეროს რამდენიმე ელემენტის ჩამონათვალითაც კარგად ჩანს ამ მასალის ხასიათი: ონომასიოლოგიური ასპექტები, პოლისემიურობა, შინაარსი, სიტყვის მოცულობა, საზღვრები...

სომატური ერთეულები შეიძლება რამდენიმე ერთმანეთისაგან ლოგიკურად დამოუკიდებელ დარგში და სხვადასხვა დონეზე მოქმედებდნენ.

ერთი და იმავე სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ერთეულები სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიაში შეიძლება განსხვავებული ფუნქციით დაიტვირთოს (სისხლი, როგორც იურიდიული ან სამედიცინო ტერმინი).

ეს ლექსიკა მჭიდრო კავშირშია გრამატიკასთან. მასალა სწორედ ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა (თავი, გული, სული...) გრამატიკალიზაციას და სხვადასხვა მორფოსინტაქსურ კონტექსტში (მაგალითად, მალეფაქტიურ ზმნებთან) მათ რეალიზაციას გულისხმობს.

სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი (სომატური) ლექსიკის შესწავლა საშუალებას იძლევა აიხსნას ქართულ ზმნასთან დაკავშირებული ზოგიერთი გრამატიკული, მორფოსინტაქსური სირთულე; აღიწეროს და გამოვლინდეს განსაკუთრებით პროდუქტიული სომატური ლექსიკური ერთეულების გარკვეული ტერმინოლოგიური თავისებურებები.

რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე (თბილისი)

## **პირის კატეგორია ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში**

როგორც ცნობილია, პირთა მიხედვით ზმნის ცვლა ახასიათებს ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენას, მაგრამ ენათა ერთ ნაწილში ზმნა იცვლება მხოლოდ გრამატიკული კლასების მიხედვით ანდა იცვლება ერთდროულად გრამატიკული კლასებისა და პირის მიხედვითაც. დადგენილია, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში ზმნის უღვლილებების სამი ტიპი გამოიყოფა:

1. კლასოვანი
2. კლასოვან-პიროვანი
3. პიროვანი

ჩამოთვლილი ტიპებიდან უძველესად ითვლება კლასოვანი, რომლის განვითარების შემდეგ საფეხურებს კლასოვან-პიროვანი და პიროვანი ტიპები წარმოადგენენ.

კლასოვანი უღვლილება, ნახურ ენათაგან, გვაქვს ჩეჩნურსა და ინგუშურში, კლასოვან-პიროვანი იმავე ნახურ ენათაგან – წოვათუშურ ენაში.

გრამატიკული კლასის ნიშნის მიხედვით ცვალებადი ზმნების გვერდით სამივე ნახურ ენაში გვაქვს ბევრად უფრო მეტი უკლასნიშნო მარტივი ზმნა. უკლასნიშნო ზმნა, რა თქმა უნდა, კლასისადმი ნეიტრალურია. ასეთ ზმნასთან პირის გარჩევა მხოლოდ აღწერითად (ზმნასთან შეწყობილი სათანადო პირის ნაცვალსახელებით) არის შესაძლებელი ჩეჩნურსა და ინგუშურში. წოვათუშურში, აღწერითი ფორმების პარალელურად, გვხვდება პირიანი ფორმებიც.

კლასნიშნიანი და უკლასნიშნო მარტივ ზმნათა ფუძეების სტრუქტურა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

- I. (-)VC სტრუქტურისა, სადაც (-) სიმბოლო ცვალებად გრამატიკულ კლასის ნიშანს გამოხატავს (კლასნიშნიანი ზმნები);
- II. VC სტრუქტურისა (უკლასნიშნო ზმნები);
- I.CVC სტრუქტურისა (უკლასნიშნო ზმნები).

პიროვან-კლასოვანი უღვლების საილუსტრაციო მაგალითი წოვათუშური ენიდან:

- I პირი: **ას ვ-უიტუ** და **ას ვუიტა-ს** „მე მივდივარ“
- II პირი: **აჰ ვ-უიტუ** და **აჰ ვუიტა-ჰ** „შენ მიდიხარ“
- III პირი: **ოჭუს ვ-უიტუ** „ის მიდის“...

**ვ-უიტუ** გარდაუვალი ზმნაა, იგივე ვითარებაა გარდამავალ ზმნებშიც, შდრ.:

II. **ას მელრ** და **ას მელო-ს** „მე ვსვამ“

III. **აჰ. მელრ** და **აჰ. მელო-ჰ** „შენ სვამ“

IV. **ოჯუს მელო** „ის სვამს“

მამასადამე, წოვათუშურში დროის ფორმას ბოლოში ერთვის ნაცვალსახელური წარმოშობის ელემენტები I-სა და II პირში. ეს მოვლენა ანტ. შიფერმა და სხვა მკვლევრებმა მიიჩნიეს პირის კატეგორიად წოვათუშურ ზმნაში.

წოვათუშურის მსგავსი ვითარება გვაქვს ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტშიც. ეს ფაქტი შენიშნული აქვს დ. იმნაიშვილს სტატიაში „პირის კატეგორიის საკითხისათვის ნახური ჯგუფის ენათა ზმნაში“ (იმნაიშვილი 1968). მიუხედავად ამისა, სტატიაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, წარმოადგენენ თუ არა ზმნასთან შერწყმული ნაცვალსახელები (ან ნაცვალსახელური ელემენტები) პირის ნიშნებს. არს. მაგომედოვი უარყოფს პირის კატეგორიას ქისტურში (ა. მაგომედოვი). მისი აზრით, ენაში ან დიალექტში ასეთი ფორმების არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ამ დიალექტში ჩამოყალიბდა პიროვანი უღვლილება.

ფაქტია, რომ გარდაუვალ ზმნას პირიანი ფორმები ეწარმოება ყველა დროში. გარდა ამისა, პირიან ფორმებს თავისუფლად ენაცვლება აღწერთი ფორმები. საილუსტრაციოდ ვაუღლოთ გარდაუვალი უკლასნიშნო ზმნა **ლოტმ(ა)** (< **ლოტმ-ა-ნ** < **ლოტმ-ა-ნ** < **ლატმ-ა-ნ**) „თამაში (თამაშობს)“, რომლის აწმყოში უღვლილების ორგანული ფორმებია:

მხ. რ.

**სო** (ჰ.ტო, აზ) **ლოტმ(უ)**

„მე (შენ, ის) ვთამაშობ, თამაშობ, თამაშობს“

**ვემ//თხტო** (შუ, ოტშ) **ლოტმ(უ)**

„ჩვენ (თქვენ, ისინი) ვთამაშობთ, თამაშობთ, თამაშობენ“

შდრ., ამავე ზმნის პირიანი ფორმა

**I. ლოტმუ-ს ლოტმ-უ-თხ**

**II. ლოტმუ-ჰ ლოტმ-უ-შ**

**III. ლოტმ(უ) აზ ლოტმ(უ) ოტშ**

მაისტურში შესაბამისად იქნება: **ლატმ-უ-ს...** ე. ი. ფუძისეულ ხმოვანშია განსხვავება – **აუ** > **ოუ** (ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით).

ამ სახეობაში გამორიცხულია **სტო ლოტმ-უ-ს** და ა. შ. ე. ი. სახეობა, როცა აღწერთ ფორმებს ერთვის ე. წ. პირის ნიშნები. ამ მხრივ ქისტური განსხვავდება წოვათუშურისაგან – წოვათუშურში ორივე სახეობასთან პირის ნაცვალსახელები ფიგურირებენ.

III პირის ფორმა არ განარჩევს არც პირს, არც რიცხვს, მათი გარჩევა სათანადო პირის ნაცვალსახელებით, ე. ი. აღწერთად, არის შესაძლებელი. მსგავსი ვითარებაა წოვათუშურშიც. ზმნასთან მიმართებით პირის ნა-



ცვალსახელთა ადგილი არ არის მაინცდამაინც პოსტპოზიციური, მათი გამოყენება პრეპოზიციშიც შეუზღუდავია.

ანალოგიური ვითარება გვაქვს დანარჩენ დროებშიც.

საკითხი ისმის: რატომ არა გვაქვს III პირში პირის ნიშანი (ან ნიშნები)? პასუხი ასეთია: „ზმნაში გარჩეულია I და II პირი, რომლებიც როგორც კონკრეტული, განსაზღვრული პირები უპირისპირდებიან III პირს, როგორც უფრო არაკონკრეტულს, განუსაზღვრელს. ამ მხრივ ჩეჩნური ენის მთის კილო (ე. ი. ქისტური) ახლოსაა ბაცბურთან“, – წერს დ. იმნაიშვილი.

როგორც ითქვა, ზმნაში პირის ნიშნები უკავშირდება პირის ნაცვალსახელებს, კერძოდ, I და II პირის ნაცვალსახელებს ორივე რიცხვში. გამოწვევისა I პირის ინკლუზიური ფორმა **ვამ** „ჩვენ“. რატომ? რით არის განსხვავებული I პირის ინკლუზიური ფორმა დანარჩენი ნაცვალსახელებისაგან ან III პირის ნაცვალსახელები I და II პირის ნაცვალსახელებისაგან? ჩვენი დაკვირვებით, განსხვავება ამ ნაცვალსახელთა ფონემურ სტრუქტურაშია საძიებელი.

პირის ნაცვალსახელთა ფონემურ სტრუქტურაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ I და II პირის ნაცვალსახელები, ზემოთ ნახსენები **ვამ** „ჩვენ“ ნაცვალსახელის გარდა, ორივე რიცხვში წარმოადგენენ CV სტრუქტურის მქონე სიტყვებს. გარდა ამისა, ამ ნაცვალსახელებში ხმოვანი უნდა იყოს მარტივი, სადა. ამ პირობის გარეშე პოსტპოზიციური წყობისას ნაცვალსახელი არ ერწყმის ზმნას. შევადაროთ, I პირის ინკლუზიური ფორმა **ვემ** „ჩვენ“ CV სტრუქტურისაა, მაგრამ ხმოვანი დიფთონგია და არა მარტივი, სადა.

დროთა მაწარმოებელი ფორმანტები ჩეჩნურში (ქისტურშიც) ხმოვანს ან თანხმოვნისა და ხმოვნის კომპლექსს (თანხმოვანი + ხმოვანი) წარმოადგენენ. გამოწვევისა მყოფადის ერთი ფორმა (ორიდან) – მყოფადი შესაძლებელი, რომლის მაწარმოებელია თანხმოვანი -რ. დროთა ფორმებს თუ CV სტრუქტურის ნაცვალსახელი მოსდევს, ის ერწყმის ზმნას, ბოლოკიდურ პოზიციამა აღმოჩენილი ხმოვანი კი კანონზომიერად იკარგება.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ **სო** „მე“, **ჰო** „შენ“, **თხო** „ჩვენ“ (ექსკლ. ფორმა) ნაცვალსახელთა ხმოვნითი ნაწილები ჩეჩნურში დიფთონგებს წარმოადგენენ. სავარაუდოდ, ნაცვალსახელთა ამ სტრუქტურამ (თანხმოვანი + დიფთონგი) განაპირობა ის გარემოება, რომ ჩეჩნურ სალიტერატურო ენაში მათი შერწყმა არ მოხდა ზმნის დროთა ფორმებთან. გავიხსენოთ ანალოგიური სტრუქტურის **ვემ** „ჩვენ“ ქისტურში, რომელიც არ ერწყმის ზმნას. **სო** „მე“, **ჰო** „შენ“, **თხო** „ჩვენ“ (ექსკლ. ფორმა) ნაცვალსახელებში, როგორც ჩანს, ქისტურში დიფთონგი გამარტივდა, რასაც მოჰყვა მათი თანხმოვნითი ნაწილის ზმნაზე დართვა. ამ პროცესმა გააჩინა პირის ნიშნების ჩამოყალიბების პირობები ქისტურში. მამასადაამე, **ლოტმ-უ-ს** მიღებულია **ლოტმ-უ სო**-საგან, **ლოტმ-უ-ჰ** მიღე-

ბულია **ლოტმ-უ ჰო**-საგან და ა. შ. აქედან გამომდინარეობს დასკვნა – ზმნაში პირის ნიშანთა გაჩენა აიხსნება ფონეტიკური პროცესით.

გარდა ამისა, ნათელი ხდება ის გარემოებაც, თუ რატომ არ გვაქვს III პირში პირის ნიშანი: ქისტურში III პირის ნაცვალსახელებია **აზ // ეზ** „ის“, **ოტმ // ატმ // ოზომ** „ისინი“. ეს ნაცვალსახელები VC სტრუქტურისაა, რითაც ისინი განსხვავდებიან CV სტრუქტურის (I და II პირის) ნაცვალსახელებისაგან. მათი შერწყმა დროთა ფორმებთან არ ხდება არც ქისტურში და არც წოვათუშურში (შდრ., წოვათუშური **ო** „ის“, **ის** „ეგ“, **ოზი** „ისინი“ და სხვა ფორმები, რომელთაგან ყველა, **ჰაფსი** „ეგენი“-ს გარდა, ხმოვნით იწყება (მ. მიქელაძე). **ჰაფსი** ლექსემაში, **ჰ**, სავარაუდოდ, მეორეულია. მყოფადი შესაძლებელი, როგორც ითქვა, თანხმოვანზე ბოლოვდება. ამიტომ პირის ნაცვალსახელთა შერწყმა დროის ამ ფორმასთან გამორიცხულია. მაშასადამე, მსგავს შემთხვევაში პირთა გარჩევა მხოლოდ აღწერითად არის შესაძლებელი. მყოფადი ფაქტობრივი **დ-უ//დ-ა** „არის“ მეშველზმნიანია, რომელიც, ჩვეულებრივ, კლასის ნიშნებისა და პირების მიხედვითაც იცვლება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქისტურში პიროვანი უღვლების ჩამოყალიბება უკავშირდება პირის ნაცვალსახელთა სტრუქტურასა და პოზიციას. ნაცვალსახელი რომ შეერწყას ზმნას, იგი უნდა იყოს CV სტრუქტურისა, ამასთან, ხმოვანი უნდა იყოს მარტივი, სადა (არადიფთონგი). გარდა ამისა, ნაცვალსახელი უნდა მოსდევდეს ზმნას.

მ. ლ ლ ო ნ ტ ი (თბილისი)

## **მსაზღვრელ-საზღვრულის სემანტიკური ფუნქციონირებისათვის**

(ძვ.ქართ. **გული გონიერი**)

„და აჰა, ვყავ მსგავსად სიტყვსა შენისა და მიგცე შენ **გული გონიერი** და ბრძენი, და შენებრ წინანდელთაგანი არავინ ყოფილ არს და შემდგომად შენსა არავინ აღდგეს მსგავს შენსა“ (3 მეფეთა 3, 12).

ესოდენ დიდებული პატივი – **„გული გონიერი“** – გაბაონის წმინდა მთაზე მყოფ ისრაელის მეფედ ახლად ნაკურთხ ჭაბუკ სოლომონ ბრძენს იმ სავედრებელი თხოვნის სანაცვლოდ მიემადლა, რომელიც მან უფალი ღმერთის წინაშე საკვირველი კეთილგონიერებითა და საზრიანობით გამოთქვა: „და მიეც მონასა შენსა **გული გულისხმის-ყოფისა** სმენად და

შჯად ერისა შენისა სიმართლითა, **გულისხმის-ყოფა** კეთილისად და ბოროტისად“ (3 მეფეთა 3, 9; იხ.: 3 მეფეთა 3, 1-15).

მოხსენების კონკრეტული კვლევის საგანია პოსტპოზიციური წყობის ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრული – ძვ.ქართ. **გული გონიერი**, რომელიც განიხილება სამი მიმართულებით:

1. გაანალიზდება ქართ. **გულის** (< ს-ქართვ. \*გულ – გკლიმოვი) და ქართ. **გონიერის** (< ს-ქართვ. \*გონ-/გნ- – გ. კლიმოვი) ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეთა კუთვნილი ლექსიკური მარაგი:

ა) ქართ. **გ უ ლ ი** → გულის-თქუმა, გულის-მთქუმელი; განგულისი-ტყუა, გულის-სიტყუა, გულის-მსიტყუავი; გულის-ხმა, გულის-ხუმიერი, გულისხმის-ყოფა; გულს-დება, გულს-[მო]დგინება; გულის-ყური, და სხვ.;

ბ) ქართ. **გ ო ნ ი ე რ ი** → გონი, გონითი; გონიერი, გონიერ-ყოფა; გონიერება; გონება, გონების თუალ[ნი], გონების ყურ[ნი]; გონებიერი; მოგონება; გუნება, რაჭ. გუნებიერად, და სხვ.;

გ) **გულისა** და **გონიერის** ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეთა გარეთ არსებული ამავე სემანტიკის მქონე ორ ათეულამდე ძველი ქართული ლექსიკური ერთეული: **საცნობელი** „მისახვედრი; გრძნობა, გრძნობის ორგანო; გ ო ნ ე ბ ა“; **ჩენა, ჯერ-ჩინება** „ნ ე ბ ა; მიჩნევა (საჭიროდ), «გ უ ლ ვ ე ბ ა»“; **ბრძენი** „ფრიად გ ო ნ ი ე რ ი, მეცნიერი“, **ბრძნობა, ბრძნობილება** – „მეცნიერება; გ უ ლ-სიტყვაობა; **ფიქრი** „ს ა გ ო ნ ე ბ ე ლ ი, განზრახვა, გ უ ლ ი ს-ზრახვა, გ უ ლ ი ს-თქმა, წვლილ-მ ო გ ო ნ ე ბ ა“, და სხვ.

განისაზღვრება მაღალი სიხშირე **გულისა** და **გონიერის** ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეთა პოლისემიისა, ასევე, ორივე ბუდის სემანტიკურ ველებსა და მაგისტრალურ მიმართულებებში არსებული თანხვედნილი სემოერტეულებისა, რისი მეშვეობითაც იკვეთება ძვ.ქართ. **გული გონიერის** შესიტყვება-ტერმინად ჩამოყალიბების კონკრეტული შემაპირობებელი ფუნქციურ-სემანტიკური მოტივი.

2. თავის მხრივ, ნიშანდობლივ იქცევეს ყურადღებას შესიტყვება-ტერმინ **გული გონიერის** მრჩობლად თანაზიარ კომპონენტთა ლექსიკურ-სემანტიკური ბუდობრივი ურთიერთმიმართება, რითაც თვალსაჩინოვდება ამ შესიტყვება-ტერმინის მეორე კომპონენტის, პოსტპოზიციური ატრიბუტული **მსაზღვრელის** – „**გონიერის**“ წარმმართველი სემანტიკური ფუნქციონირება – „**გულის**“, ანუ **საზღვრულის** მიმართ; ამ მხრივ, შდრ. ივანე ჯავახიშვილის სარწმუნო დაკვირვება:

ძვ.ქართ. ტერმინებით – **გონების თუალი** და **გონების ყური**, გამოითქმოდა აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანის „გრძნობისა და გონების სამყაროს ნიჭთა შემაერთებელი“ არის – **გონება**... სწორედ ის განაგებს ადამიანის მთელ მოქმედებას „ფარულად და უხილავად“... და სიტყვაც იმას „თარგმანებს, რადცა იყოს გონებათა შინა“ (ივ. ჯავახიშვილი, „ადამიანის

პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფო მწერლობასა და ცხოვრებაში“, 1956, გვ. 130-155). ამასთან, ძვ.ქართულში არ იპოვება შესიტყვება-ტერმინი **გულის-ყური**, რომელიც დღეს, **გონების თვალის** დარად, აქტიურად ფუნქციონირებს.

**3.** რწმენისა და ცოდნის გაერთიანების პრინციპის მომარჯვებით და ეკლესიის წმიდა მამათა კატეხიზისურ, დოგმატურ და ეგზეგეტიკურ თარგმანებაზე დაყრდნობით, წარმოჩნდება წმიდა წერილში უაღრესად საგულისხმოდ აღბეჭდილი ძვ.ქართ. შესიტყვება-ტერმინის – **გული გონიერის** როგორც საგანგებო სემანტიკური ფუნქციონირების საღვთისმეტყველო წანამძღვრები, ისე სემანტიკური ფუნქციის ქართული ენობრივი არჩევანი საკუთრივ ძვ.ქართ. **გონიერისა**, ვითარცა **გონებასთან მრჩობლად** თანაზიარი „**გულის**“ **გან-საზღვრელისა**, და ძვ.ქართ. **გულისა**, ვითარცა „**გონ[ებ]იერი**“ **მრჩობლი** თანაზიარებით **გან-საზღვრული** კომპონენტისა.

ვ. შენგელია (თბილისი)

### **კიდევ ერთხელ ოდნობითი ხარისხის შესახებ**

ოდნობითი ხარისხის ფორმებს რამდენიმეჯერ შევეხეთ (2011, 2013, 2019). ამჯერად საჭიროდ მიგვაჩნია ზოგი რამ დავაზუსტოს ჩერქეზულ ენებში ოდნობითი ხარისხის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

ადილეურში ოდნობითი ხარისხის მაწარმოებლად ორი სუფიქსი დასტურდება – **-შა** და **-სა**. ადილეური ენის ახალ განმარტებით ლექსიკონში (მთავ. რედ. – ბ. ბერსიროვი) ძირითად ფორმად მიჩნეულია **-შა** სუფიქსიანი წარმოება (**ღაჟეშა** „მოყვითალო“).

ყაბარდოულში ოდნობითი ხარისხის მაწარმოებელია **-ჰა**, ადილეური **-სა**-ს ფონეტიკური შესატყვისი. ამოსავალია ადილეურის ვითარება (\***-სა** > ყაბ. **-ჰა**). ადილეურ **-შა**-ს ყაბარდოულში შესატყვისი არ უჩანს.

აფხაზურში ოდნობითი ხარისხის მაწარმოებლად **ცა** პრეფიქსს გამოყოფენ, რომელიც ჩერქეზული ენებისათვის ამოსავალი **-სა**-ს შესატყვისია. აფხაზურ-ჩერქეზული ენებისათვის ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ **-ცა** (ქ. ლომთათიძე): ამოსავალმა სისინ-შიშინა აფრიკატმა **-ცა**-მ აფხაზურში სისინა აფრიკატი **ც** მოგვცა, ჩერქეზულში – სისინ-შიშინა სპირანტი **ს**.

ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე (თბილისი)

## ზოგი ნასესხები ლექსების ისტორიიდან ქართველურ ენებში

ზურაბ სარჯველაძისა და ჰაინც ფენრიხის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონების“ ქართულ (1990, 2000 წ.წ.) და გერმანულ (2007 წ.) გამოცემებში, „ტბის, გუბის, მორევის, ხევისა თუ სიღრმის“ აღმნიშვნელ **ტაბ-** > **ტბ-** (ქართ.), **ტობ-** (მეგრ.), **ტობ-** / **ტიბ-** (ლაზ.) და **ტუბ-** > **ტუბ-** (სვან.) ძირების განხილვისას, დასახელებულია ყველა უცხოელი თუ ქართველი მეცნიერი, ვისაც კი ოდესმე უმსჯელია მათ შესახებ, ხოლო აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, სამწუხაროდ, იგულისხმება აზრევიატურაში „და სხვ.“, არადა, საანალიზო ძირებს მხოლოდ მან დაუკავშირა „ფეხისგულის“ აღმნიშვნელი ლაზური **ტაბ-ან-ი** || **ტაბ-უ** ჯერ კიდევ 1938 წელს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, შემდგომში ეტიმოლოგიური ქართველოლოგიის საძირკვლად რომ იქცა. ამ დაკავშირებისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა „სიღრმის“ სემანტიკა, თუმცა მთლად კანონზომიერი ფონემათ-შესატყვისობა არ დადასტურდა. არნ. ჩიქობავას აზრით, „**ტაბ-** იგივე ძირი ჩანს, რაც ქართულ **ტბა**ში გვაქვს. მართალია, ჭანურში არის ამ უკანასკნელის შესაბამისი **ტობ-** || **ტიბ-**, მაგრამ არ გამოირიცხება **ტაბ-** ძირის შემონახვაც: მნიშვნელობათა დიფერენციაციამ გააადვილა ეს პროცესი, რადგანაც კავშირი ამ „ორ“ ძირს შორის არ იგრძნობოდა“.

შემდგომში ეს დაკავშირება ნაწილობრივ გაიზიარა მერაბ ჩუხუამ (2000-2003: 214) – საერთოქართველურ დონეზე აღადგინა **ტერ** („ძირი, ტერფი, ფეხისძირი“), საიდანაც მივიღეთ ქართული **ტერფ-ი** და ჭანური **ტაბ-უ** || **ტაბ-ან-ი**, თუმცა ლაზურის ამოსავალი \***ტარბ** კითხვის ნიშნით წარმოადგინა, მამასადაძე, გარკვეულწილად საეჭვოდ მიიჩნია; დაეჭვების საფუძველი კი ნამდვილად გვაქვს, რადგანაც ლექსემა **taban** (1. ფეხისგული; 2. ლანჩა; 3. იატაკი; 4. ძირი;...) თურქული წარმომავლობისაა.

ისევ არნ. ჩიქობავას თუ დავიმოწმებთ, „ჭანურსა და მეგრულში სხვა ენებიდან შეთვისებულ მასალას, **რა თქმა უნდა**, ქართულში შესატყვისი არ აღმოაჩნდება“ (შრომები, IV, 2008: 13), თუმცა „ზოგჯერ ნასესხებმა სიტყვამაც შეიძლება მოგვცეს მონათესავე ენებში კანონზომიერი შესატყვისობა (თუკი დიფერენციაციამდე იყო ნასესხები). ასეთი „უცხოელის“ გამოცნობა თითქმის შეუძლებელი ხდება“ (იქვე: 486).

სრულიად აშკარაა, რომ **ტაბან-ი** თურქულიდანაა შესული მუჰაჯირ ქართველთა (ზურსის ვილაიეთი-ინეგოლი, სოფელი მეზითი) მეტყველებაში, ლაზურ-მეგრულსა და აჭარულში; მოსალოდნელია გურულ დიალექტშიც, რადგანაც **ტაბან-ათ-ი** გვხვდება იქაურ ტოპონიმიკაში (სოფლის სახელწოდებაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში):

- ლ ა ზ უ რ ი:        **ტაბან-ი** – 1. ფეხისგული; 2. კავის კაუჭიანი ნაწილი, რომლის ძირას მოთავსებულია რკინის სახნისი (თანდილა-ვა, 2013);
- მ ე გ რ უ ლ ი:        **ტაბან-ი** – სათევზაო მოწყობილობის ნაწილი, – მსხვილი თოკი, რომელზედაც მიბმული იყო უფრო წვრილი თოკები ანკესიანად (ქაჯაია, 2002);
- ა ჭ ა რ უ ლ ი:        **ტაბან-ი** 1. ფეხისგული, ტერფი; 2. ლანჩა, ტყლაპი; 3. სახლის სამირკველი, ფუძე, ფუნდამენტი (შ. ნიჟარაძე, 1971).

მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებებში გვხვდება **ტაბარნა** (<\***ტაბ-არ-ან-ა?**) – „ფეხზე ან ბორბალზე მიკრული ტალახი“.

როგორც ვხედავთ, ნასესხები საანალიზო სიტყვის სემანტიკა, **ძირითადად**, ერთი და იგივეა მეგრულ-ლაზურსა და ტერიტორიულად მათთან ახლომყოფ დიალექტებში ქართული ენისა. მას არათუ ქართულში, არამედ არც სვანურ ენაში მოეპოვება შესატყვისი ძირი, ცხადია, იმ მასალების მიხედვით, რაც ამჟამადაა ჩვენს ხელთ (სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოვახერხეთ გურულ, რაჭულ, ლეჩხუმურ, მთიულურ, მესხურ, ფერეიდნულ და ინგილოურ დიალექტთა ვრცელი მაღალაკადემიური, ყველასთვის ხელმისაწვდომი ლექსიკონების პუბლიკაცია, რაც **უდავოდ ჩვენი დიდი ნაკლია!**..).

ახლა ვნახოთ, რა ხდება **ტაბან**'ის ერთ-ერთ სინონიმთან დაკავშირებით ქართველურ ენებში:

ესაა **ლანჩა**, რომელიც, აგრეთვე, არაბულ-სპარსულ-თურქული სიტყვაა და მთელ საქართველოშია გავრცელებული ნაირ-ნაირი ფორმითა თუ სემანტიკით. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ ქართულ-თურქულ ნაწილში შემდეგი ვითარებაა: **ლანჩა – ტ ა ბ ა ნ** (1949: 1026), ხოლო ქართულ-იტალიურში **ლანჩა** არის **ს ო ლ ა** (იქვე: 1083).

ალი თანდილავას „ლაზურ ლექსიკონში“ **ლანჩა** არ არის შეტანილი, მაგრამ 1999 წელს ისმაილ ბუჯაკლიშისა და ჰასან უზუნჰასანოღლუს მიერ თურქეთში გამოცემულ „ლაზურ-თურქულ ნენაფუნაში“ შენიშნულია: ხოფური **lança** და არქაბული **Kuçxeş İabu** ნიშნავს „ფეხისგულს, ფეხის-ძირს“. თურქეთში მცხოვრებ ლაზთა განმარტებით, **ლანჩა** „ფეხსაცმლის ძირია, მისი ფსკერია“.

აკადემიკოს ნიკო მარის აზრით, ის მომდინარეობს „ფეხსაცმლის ნა-ლის“ აღმნიშვნელი **nalça** ლექსემის მეტათეზისური ფორმიდან **ლანჩა** – ჭ ა ნ უ რ ი ( ლ ა ზ უ რ ი ) გ რ ა მ ა ტ ი კ ი ს ა ვ ტ ო რ ს თ ა ვ ი ს ს ა - კ ვ ლ ე ვ ე ნ ა შ ი და დასატურებული აქვს ამოსავალი (**ნალჩი**) ფორმა (Mapp, 1910: 172). აღმოსავლურ ენებში გვხვდება როგორც **nal**, ისე **nalça** („ნალი“) და დაახლოებით იმასვე („ფეხსაცმელი, ფეხსაცმლის ძირი, ტყავი“) ნიშნავს, რასაც **ლანჩა**<sup>1</sup>.

ქართულ **ლანჩა**’ს („სქელი ტყავი ფეხსაცმლის ძირისა“ – ქეგლი) თურქულ ენაში შეესაბამება **pançe**. საგულისხმოა, რომ ისტორიულ კლარ-ჯეთში (ლივანი, ანუ მარადიდი) დავით ბაქრაძეს მითითებული აქვს 16 ლაზური სოფელი; მათ შორისაა 15 კომლის შემცველი **პანჩერეთი**, რომელიც მეტად საინტერესოა თურქული (**pançe**) ძირისა და ქართული (-**ერ**, -**ეთ**) მორფემების სინკრეტული წარმოდგენის თვალსაზრისით.

უძველეს ქართულ ხალხურ ზღაპრებში (მაგალითად, „ამირანი“) **ლანჩა** არის „წულის სქელი სამირე საქონლის ტყავისა – ჯადოს-ნური ფეხსაცმელი, რომელსაც შეუძლია ადამიანი ზღვაზე გადაიყვანოს“ (ჩიქოვანი, 1965: 254). ცხადია, საანალიზო ლექსემა 3000 წლის წინ შექ-მნილ თქმულებაში გვიანდელი ჩანამატია, რადგანაც, სპეციალური ლი-ტერატურიდან ცნობილია, რომ ქართულ ტექსტებში ის მხოლოდ XVI სა-უკუნიდან დასტურდება და „ფეხსაცმლის ფსკერს“ (საბა) ნიშნავს (ბ. გიგი-ნიეშივილი, 2016: 285).

რაკი „ლანჩას“ სემანტიკური თვალთახედვით განხილვისას, უპირ-ველეს ყოვლისა, **„ძირი/ფსკერი/სამირკველი/იატაკი/ტერფი“** არის წინა პლანზე, ამიტომ ქართულ დიალექტებში (მაგალითად, თუშურში!) მას „სამირე“ ეწოდება, ხოლო ფეხსაცმელს, რომელზედაც წულებს იცვამენ, „უძირო“ (გურული, იმერული,...) ჰქვია. ქეგლის მიხედვით, ამ უკანასკნე-ლით აღინიშნება „წულა-მსუბუქი თხელძირიანი ფეხსაცმელი“, ხოლო მო-ხეურში „ძირახალი“ ეწოდება „ზამთარში სახმარ დახურულ ქალამანს“, მთიულურ დიალექტში კი – „თოვლში ჩასაცმელ მაღალყელიან ფეხსაც-მელს“.

---

<sup>1</sup> უღრმეს მადლობას მოვახსენებ პროფესორ მარიკა ჯიქიას და ქალბატონ ცილა ნარაკიძეს შესაბამისი მასალის მოწოდებისათვის.

ქართლურ კილოში **ლანჩა** არის „პატარა თხელი ქვა, მშენებლობისას კედლის გასასწორებელი“, ხოლო ქიზიყურში – „იატაკის ფიცარს ქვეშ დატანებული სოლი ან ნაფოტი წონასწორობის დასაცავად“. დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს **ნალსაც** („ძელი, კედელში დატანებული“ – დ. ჩუბინაშვილი და „ქვის კედელში დატანებული სქელი ფიცარი ან თხელი კოჭი, რომ კედელი შეიკრას და არ გაიბზაროს“ – სტ. მენტეშაშვილი), რომელიც არ ჩანს ძველ ქართულ ტექსტებში ისევე, როგორც **ლანჩა** ან **ტაბანი**.

**ლანჩა** იმერულსა და რაჭულ დიალექტებში ჰქვია „კალათისა თუ გოდრის დასაწნავ მასალას, **ტკეწს**“. ზოგჯერ ეს ლექსემა წარმოდგენილია ინტერვოკალურ პოზიციამი დაკარგული **-ნ-** სონორით (**ლანჩა/ლანჩი** – იმერ.).

ჯავახურ მეტყველებაში **ლანჩა** „იარალის სახეობაა“, ქსნის ხეობაში კი მამაკაცის მეტსახელია (გავიხსენოთ გვარი **ლანჩა-ვა** სამეგრელოსა და იმერეთში!). ზესტაფონის მუნიციპალიტეტში არსებობს ტოპონიმი **ლანჩა-რი**, რომლის თავდაპირველი სახე შეიძლება ყოფილიყო \***ლანჩ-ნარ-ი**.

ხევსურეთში „თოკით ფსკერგამოწულ ხის საწოლს“ **ლანჭა** ეწოდებოდა, რომლის სახელწოდებაში ყურადღების მთავარი ცენტრი „ფსკერის-კენაა“ მიმართული, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ აქაც ამოსავალი უნდა იყოს **ლანჩა**, თუმცა მასში სრულიად მოულოდნელია ფშვინვიერი ფონემის გამკვეთრება.

გვხვდება კომოზიტიც **ლანჩა-ლანჩა** ქართლურ დიალექტში, რომელიც ზმნისართული ფუნქციით გამოიყენება („შრეებად, ფენა-ფენა“).

რა ვითარებაა მ ე გ რ უ ლ შ ი ?

**ლანჩა** („მამაკაცის ფეხსაცმელი ერთგვარი – ქალამანს ჰგავდა“) იმდენად იშვიათად იხმარება, რომ ოთარ ქაჯაიას სამტომეულ ლექსიკონში ის ვერ მოხვდა და მითითებულია მხოლოდ „დამატებებში“ (ტ. IV), სადაც მოთავსებულია წინა ტომებში გამორჩენილი მასალა; სამაგიეროდ, ხშირია **ნარი** ან ვარიანტები: **ნარჩა** („ლანჩა, ფეხისგული, ფეხისძირი, ტერფი“), შდრ. იოსებ ყიფშიძისეული **ნარჩა** (რ. ლანჩა) – подошва და **ნერჩი** (1914: 288); აქ მოყვანილია СМОМПК-ის XXXII ტომის III განყოფილების (გვ. 97) მონაცემი, სადაც ნათქვამია: „Слово **ნერჩი** не понятно... в общежитий этимъ словомъ обозначается основаніе чего-либо или тотъ клочекъ земли, на которомъ стоитъ домъ“. მაშასადამე, აქაც „სამირკველი, ფუნდამენტი“ ხაზგასმული („ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონში“ – 2013: 298 – **ნერჩი** „ხომალდის ხერხემალი“, ოლონდ რომელ ქართველურ ენაში, გაუგებარია<sup>1</sup>“).

<sup>1</sup> ამგვარი გაუგებრობა ციტირებულ ნაშრომში, სამწუხაროდ, ხშირია.



ოთარ ქაჯაიას განმარტებით, **ნერჩ-ი** რამდენიმე სემანტიკას შეესაბამება: 1. ფუძე, ძირი; 2. ადგილი, სადაც სახლი დგას; 3. მიწის იატაკი; 4. დედამიწისა და ადგილის დედის ღვთაების სახელი (ტ. II).

„მამაკაცის მაღალყელიანი ფეხსაცმლის აღსანიშნავად მეგრულში იხმარება ლექსემა **ლარჩემი/ლარჩიმი**, რომელიც დერივაციული აგებულებისა ჩანს და, ვფიქრობთ, რომ მას **ლანჩა/ნარჩა/ნერჩისთან** არანაირი კავშირი არ აქვს.

აჭარულ მეტყველებაში **ნერჩი** „ჭურჭლის ფსკერს“ ნიშნავს (შდრ. „ქუჭდა კერძო“ – საბა), ხოლო იმერულ დიალექტში **ნერჩი** და **მერჩი** ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება „შენობის ფიცრის ჭერის, ლამფის, სხვენისა თუ თავანის“ აღსანიშნავად.

რაც შეეხება ს ვ ა ნ უ რ ენას, აქ არც **ლანჩა** ჩანს და არც **ნარჩა/ნერჩი** (ყოველ შემთხვევაში, არც პუბლიკაციებში და არც ზეპირ მეტყველებაში ჩვენ ეს ლექსემები არ შეგვინიშნავს), თუმცა ბესარიონ ნიჟარაძის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში“ იკითხება შემდეგი: **ლანჩა – ლანჩ, подошва обуви** (2007: 135), ალბათ, დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ გავლენით (შდრ. Подошва – ფეხის ტერფი, ლანჩა, საძირე ფეხსაცმლისა || ძირი, ფუძე, ფსკერი – ნიკო ჩუბინაშვილის „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, ტ. II, 1973: 212). ზოგჯერ სვანი მოხუცები „დახეული ტანსაცმლისა თუ ფეხსაცმლის საკერებლის“ მნიშვნელობით ასახელებენ **ტაერ**ს, რომელიც გიორგი კლიმოვის მიერ თუმცა დაკავშირებულია ქართულ **ტაეც-ა** და მეგრულ **ტააჩ-უ-ა** მასდართან („ცემა, დარტყმა“) და წინარექართველურ დონეზეა აღდგენილი \***ტაეც-1-/ტაიცი-1** ძირი, მაინც ჯერჯერობით **ტაეც-ა** არ არის დადასტურებული სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაზე“ ადრე. სულაც არაა გასაკვირი, სვანურ ენაში „ლანჩის“ მნიშვნელობით გამოიყენებოდეს **ტაერ**. ამგვარი რამ დღესაც დასტურდება ქართული ენის დასავლურ (იმერულ, რაჭულ, გურულ) დიალექტებში.

ირკვევა, რომ **taban** უფრო ადრინდელი შემოსულია დასავლეთ საქართველოში, ამიტომაც არ გვხვდება მისი ნაირ-ნაირი ვარიანტები; რაც შეეხება მის ძირითად მნიშვნელობათა სინონიმს, ის მთელ საქართველოშია გავრცელებული სხვადასხვა ვარიანტით:

**ლანჩა/ლანჩა/ლანჩი/ლანჩი** (ქართ.);

**ლანჩა** (იშვიათად!)/**ნარჩა/ნერჩი** (მეგრ.);

**ლანჩა/ნალჩი** (ლ ა ზ.).

მაშასადამე, არაბულ-სპარსულ-თურქული წარმომავლობის, ძირითადად, ერთი და იმავე სემანტიკის („ძირი“ და არა „სიღრმე“ – შდრ. არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი) ლექსემები **ტაბანი** და **ლანჩა** სესხების პროცესში სხვადასხვა ვერტიკალს ამჟღავნებენ ქართველურ ენებში:

პირველი, რომელიც შედარებით ძველი ჩანს, ჩვენი ქვეყნის ნაკლებ ტერიტორიაზე გავრცელდა ქართულ-ლაზურ-მეგრულ ენებში, ხოლო მეორე – უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და სხვადასხვა ვარიანტით ფუნქციონირებს საქართველოში (სვანური დამაჯერებელი მასალების მოსაძიებლად საჭიროა კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა!).

რაც შეეხება **ნალს**, მისი აღმოსავლურ ენებში დადასტურებული ორივე მონაცემი (**nal** და **nalca**) შემოვიდა საქართველოში, თუმცა ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული სემანტიკით. ჩვენი ყურადღება მიიქცია „ნალის“ საბასეულმა განმარტებამ: „**სხუათა ენაა**, ქართულად **საჭედარი და ლუმბა ჰქვიან**“. დღეს ყველა ქართველურ ენაში ამ მნიშვნელობითაა (ძირითადად!) **ნალ-ი/ნალ** წარმოდგენილი, ოღონდ სვანური ენის უშგულურ კილოკავში **ნ ლ** ფორმის გვერდით **ნა-შკად-უნ** („ნაჭედი“) იც გვაქვს (შდრ. რუსული подкова). საბასეული **ლუმბა** („საჭედარი ცხენისა თუ ფერვთ საცმელთასა“), რომელიც **დიდ ლექსიკოლოგს** თურქული ჰგონია (1949: 1027), **ჯერჯერობით** დავადასტურეთ მხოლოდ აჭარულ დიალექტში, სადაც მას შეიძლება ჰქონდეს სონორჩანაცვლებული ვარიანტიც (**ლუნბა**). რაც შეეხება ფერეიდნულს, იქ **ლომბ-ა/ი** „კურტუმოს, დუნდულას“ (ე. ი. ამობურცული რაღაცის) აღმნიშვნელია.

ამრიგად, სწორედ არნოლდ ჩიქობავას თეორიის ჭეშმარიტების დამადასტურებელი აღმოჩნდა ჩვენი საანალიზო მასალა, რადგანაც ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდგომ ნასესხები ლექსიკა ვერანაირ ფონემათშესატყვისობას ვერ გვაძლევს ვერც ქართულში, ვერც სვანურსა და ვერც მეგრულ-ლაზურში.

ი. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე (ქუთაისი)

### **ჰუგო შუხარდტის რეცენზია სილოვან ხუნდაძის ნაშრომზე „სალიტერატურო ქართული“**

ცნობილი ავსტრიელი ენათმეცნიერი და ქართველოლოგი ჰუგო შუხარდტი (1842-1927) დიდ ინტერესსა და ცოდნას იჩენდა ქართულის ენის კვლევაში. ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მკვლევრები – პეტრე მელიქიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო მარი, ალექსანდრე ხახანაშვილი, მოსე ჯანაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ნოე ჟორდანი, აკაკი შანიძე – ინტენ-

